CMYK

კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ილია ჭავჭავაძე

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი
№296 (4675)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

**საქართველოს პარლამენტის არჩევნები და რეფერენდუმი შედეგა: წინასწარი მონაცემებით, მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 50 პროცენტზე მეტმა.**

დღეს — ხვალისათვის

## საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ხმას აძლევს საქართველოს მომავალს



**კრწანისის საარჩევნო ოლქის №9 უბანში ხმის მიცემის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა ჟურნალისტთა რამდენიმე შეკითხვას.**

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა ბევრი რამ ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

„დარწმუნებული ვარ, არჩევნები სამართლიანად გაიმართება. რაც შეეხება იმას, თუ ვის ან რას მივეცი ხმა, მე შევასრულე მოქალაქის ვალი და ხმა მივეცი საქართველოს მომავალს,“—აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

შეკითხვაზე, განიხილავს თუ არა იგი 2 ნოემბრის არჩევნებს, როგორც პრეზიდენტის არჩევნების წინა რეპეტიციას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შესაძლოა, პარლამენტის არჩევნების შედეგებმა გარკვეულწილად იმოქმედოს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე, თუმცა, მისივე მოსაზრებით, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან ამ დრომდე წელიწადნახევარი კიდევ რჩება.

„ასე რომ, დღეს ჩვეულებრივი სამუშაო დღის რეჟიმით ვიმუშავებ,“—თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას ქვეყნის მეთაურმა.

ედუარდ შევარდნაძე გამოეხმაურა აგრეთვე პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების თაობაზე რეფერენდუმის საკითხსაც და დასძინა, რომ წინასწარი გამოკვლევების თანახმად, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირებას.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

**ჯონი ფირცხალაიშვილის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, გენერალური შტაბის ხელმძღვანელობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის გენერალ-ლეიტენანტი **ჯონი ფირცხალაიშვილი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

თვალსაწიერი

## ვინც კი წელზევით სურათი გადაიღო, ყველამ დეპუტატობა მოინდომა...

მადლობა ღმერთს, ეს არჩევნებიც ჩავათავეთ!

მადლობა ღმერთს, პარლამენტი ავირჩიეთ!

რას მისცემს ჩვენს ქვეყანას ეს ახალი შემადგენლობა? იგი, რაც გვქონდა, იმაზე უკეთესი იქნება თუ უარესი?

არადა, რაც გვქონდა, იმაზე უარესი თითქოს რა უნდა იყოს?

და მაინც არის ამის ალბათობა.

ის პარტიები, რომლებიც გაიმარჯვებენ (ისინი, სავარაუდოდ, იცის ხალხმა), ისეთი კბილის კრაჭუნით და დანების ლესვით მიიკაფავდნენ გზას, ისე დაუზოგავად ურტყამდნენ ხელისუფლებას, თითქოს ოსმალეთის იმპერიაზე ან შაჰ-აბასის ურდოებზე მიჰქონდათ იერიში.

ნათქვამია, „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო“, ან — „ქარს დასთეს და ქარიშხალს მოიმკიო.“ „დიქტატურის“ წინააღმდეგ მებრძოლებმა ვერ გათვალეს, რომ ამით არა მხოლოდ არსებული ხელისუფლების, არამედ თვით ხელისუფლების ცნების წინააღმდეგ განაწყვეს ხალხი (უფრო სწორად, ხალხის ნაწილი), რომელიც ხვალ და ზეგ ასევე აქტიურად გამოვა ხვალის, ზეგის ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან იგი ყველაზე იოლად ხელწამოსაკრავი, იოლად ხელშესაწმენდია ყველა, ნებისმიერი მიზეზით განაწყენებული ადამიანისთვის.

ამის გამოსწორება ძნელი იქნება ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც ყოველი კაცი პოტენციური დეპუტატობის კანდიდატია (გუშინ ტელევიზიით ერთმა ქუთაისელმა კაცმა მორგებულად და კვიმატად თქვა, ვინც კი წელზევით სურათი გადაიღო, ბატონო, ყველამ დეპუტატობა მოინდომაო).

**იხ. მე-3 გვ.**

განგაში!

## უშიშროებამ იარაღის არსენალი აღმოაჩინა

— **უშიშროების** სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დიდძალი იარაღი აღმოაჩინეს - განაცხადა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ 2 ნოემბერს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე. როგორც მან აღნიშნა იარაღი ინახებოდა მცხეთის რაიონში, ყოფილი რუსული ბაზის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ ბუნკერში.

უშიშროების მინისტრის განცხადებით აღნიშნული იარაღი ეკუთვნოდა ექსპრეზიდენტის მომხრე პირებს. მისი განმარტებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიები, რამდენიმე ათეული მჭიდი, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, ნაღმები, 22 კგ. ტროტილი... დაინტერესებულ პირებს სჭირდებოდათ იმისთვის, რომ 2 ნოემბრის პარლამენტის არჩევნებში არეულობა და დესტაბილიზაცია გამოეწვიათ და სამოქალაქო დაპირისპირება გადაზრდილიყო შეიარაღებულ გამოსვლებში.

უშიშროების უწყების თანამშრომლებმა ოპერატიულად შეძლეს მიეკვლიათ ბაზისთვის და მოახდინეს მისი ნეიტრალიზაცია.

**საქინფორმი.**

თანმდევი კრიმინალი

## შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩვეულებრივზე მეტი სამუშაო ჰქონდა

**პარლამენტის** არჩევნებზე მომხდარ კანონდარღვევებზე ილაპარაკა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა 2 ნოემბერს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე სერიოზული დარღვევა, მათ შორის, სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ყველა ამ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს.

**საქინფორმი.**

რეპლიკა

## მყეფარმა თუ არ დაიყეფა...

**წინასაარჩევნო პერიოდში ისედაც ათასი თავსატეხი გვქონდა და ბოლო დღეებში ჯოჯოხეთის მაშხალასავით ეგზიტპოლებიც გამოტყვრა. ამ აბსურდულ გამოკითხვაზე, რომელზეც ხელი კარგა ხანია აიღეს ჭკუათმყოფელმა სახელმწიფოებმა, ზოგიერთმა ფულის გაკეთება სცადა, ზოგიერთმა კი — სამართლიანი არჩევნების გულშემატკივრის იმიჯისა. ამომრჩევლების თუ სპეციალისტების უმრავლესობას ამის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ ვინ დაგიჯერა, — მოედვნენ მაინც საარჩევნო უბნებს დაფინანსებული კურიერები.**

შუადღისას, ერთ-ერთი ტელევიზიის მუშაკები რუსთავში „წააწყდნენ“ ვიღაც ახალგაზრდა ქალს, რომელიც ჯაშუშურად ადგენდა ეგზიტპოლებს. როდესაც ნაღდი გამომკითხველები შეამჩნია, ბაყაყური მოუსვა. არც გვარი, არც სახელი და... ემცნო უცებ ტელევიზიით მთელს ქვეყანას, — ეს უცნობი ხელისუფლების დაკვეთით მუშაობდაო! განა ყველაფერი უნდა ვიკადროთ? რად სჭირდებოდა ხელისუფლებას საარჩევნო უბნებში ფარულად გაგზავნა ხალხისა? მონაცემებს მუთაქაში ჩატენიდა თუ ბაზარში გაყიდიდა? საოცარია პირდაპირ!

თუმცა რა, მყეფარმა თუ არ დაიყეფა, მუცელი ასტკივა...

**ბადრი იაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ცესკოში

# კომისიას ოთხდღიანი ძნელი შრომა ელოდება

**2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად წარმართვის უპირველესი პირობა მნიშვნელოვნად დახვეწილი საარჩევნო კანონმდებლობაა. ექსპერტები, ასევე, განსაკუთრებით წინგადადგმულ ნაბიჯად დამატებითი სიების გაუქმებას და მარკირების შემოღებას მიიჩნევენ.**

თუმცა გუშინ, არჩევნების დღეს, სიებმაც და მარკირებამაც ზოგიერთ უბანში გაუგებრობა გამოიწვია. კერძოდ, ამომრჩეველთა ნაწილმა თავისი თავი გადამოწმებულ სიებშიც ვერ იპოვა.

დღის ორი საათისთვის საქართველოს (თბილისის გამოკლებით) საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 15 პროცენტი გამოცხადდა, რაც ცესკოს თავმჯდომარემ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო დღეებში ყველაზე სერიოზულ პრობლემად, რომელსაც შესაძლებელი იყო საარჩევნო პროცესის არათუ შეფერხება, არამედ ჩაშლაც კი გამოეწვია, ამომრჩეველთა სიების დაუზუსტებლობა სახელდებოდა. გახსოვთ, არჩევნების სისტემების საერთაშორისო ფონდი სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამდა ცესკოს მიმართ, რომელიც იძულებული გახდა, პრაქტიკულად ამ ორგანიზაციისთვის სიების გადამოწმების შესაძლებლობა ჩამოერთმია. საბოლოოდ, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას საუბნო კომისიები ახდენდნენ. გამოტოვებულმა მოქალაქეებმა შესაბამის საუბნო კომისიებს მიმართეს. თითქოს პრობლემა, ასე თუ ისე, გადაიჭრა, მაგრამ გუშინ ბევრი „გადამოწმებული“ ამომრჩეველი სიაში კვლავ არ აღმოჩნდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ცესკოს თავმჯდომარემ ახალი განკარგულება გამოსცა და გამოტოვებული ხალხი საოლქო კომისიაში გაისტუმრა. ეს განკარგულება ნანა დევდარიანმა თავდაპირველად ზეპირად გასცა, მაგრამ შესაბამისმა საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებმა „ყურიც არ შეიბერტყეს“, რის შემდეგაც იგივე განკარგულება წერილობით გაიცა.

სიებთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა კარლო ბარდაველიძემ (ბურჯანაძე-დემოკრატები), დიმიტრი ქიტოშვილმა (ნაციონალური მოძრაობა), ელდარ გოგიაშვილმა (ახალი მემარჯვენეები) ცესკოში საღამოს 5 საათზე ბრიფინგი გამართეს, სადაც საარჩევნო ვადის გადაწევაზე მიუთითეს. (მოგვიანებით არჩევნებმა თბილისში 9, ხოლო ქუთაისში 12 საათამდე გადაიწია).

— საღამოს ხუთი საათის მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნები შემდგარად გამოცხადდა. ამ დროისათვის არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა დაახლოებით 34,68 პროცენტმა მიიღო. — ეს იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნები შედგა, — განაცხადა ნანა დევდარიანმა.

სასურველი პროცენტის მიუღებლობის შემთხვევაში ოპოზიცია ქუჩაში გასვლით იმუქრება.

მიუხედავად ცალკეული არასასიამოვნო ექსცესებისა, ცესკოს თავმჯდომარეს მასობრივი პროტესტის შიში არა აქვს.

— სიებთან დაკავშირებით ჩვენ მაქსიმალურად ვიმუშავეთ. მთავარი ისაა, რომ ამაზე უფრო ღია, გამჭვირვალე და საჯარო საარჩევნო პროცესი საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც კანონი ითხოვდა, შესაძლოა, კანონის რომელიღაც მოთხოვნას ვარღვევდით, მაგრამ ამას ვაკეთებდით იმიტომ, რომ კანონის სხვა მუხლის მოთხოვნები დაგვეცვა, — განმარტავს ნანა დევდარიანი.

**მაშ, ასე: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები შედგა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წინ საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ძნელი და მომქანცველი ოთხდღიანი პროცედურა ელის, რაც საბოლოო შედეგს ნათელს მოჰფენს. დაველოდოთ!**

**მზია გელენავა.**

თვალის გადავლებით

# გულგრილი არავინ დარჩენილა

**ახლანდელი არჩევნებისათვის მზადების კამპანია საკმაოდ მიუახლოვდა ეგრეთ წოდებულ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტს - ერთმანეთის ოპონენტებმა მთელი დამაჯერებლობით დაუმტკიცეს გაოგნებულ ელექტორატს, რომ მოწინააღმდეგე უწმინდური ძალების მოციქულია ამ ქვეყანაზე და მისი სანუკვარი მიზანია ქართველი ხალხის საბოლოოდ განადგურება.**

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო კამპანიის სუბიექტთაგან ყველა ყველას ებრძვის, ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა ეპითეტებით შემკული მოვიდნენ არჩევნებამდე ჩვენი სახელოვანი პოლიტიკური პარტიები და მათ მიერ დეპუტატობის კანდიდატებად წარმოდგენილი პატივცემული ადამიანები.

ალბათ, სწორედ ეს პერმანენტული და ხშირად ზღვარგადასული ურთიერთგანქიქებაც გახდა იმის მიზეზი, რომ 2 ნოემბერს საქართველოს ამომრჩევლებმა ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე არნახული აქტიურობა გამოიჩინეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხმის მიცემის პროცედურა სულაც არ წარმართულა ერთმნიშვნელოვნად.

ვიდრე კონკრეტული ფაქტების და მონაცემების კონსტატაციაზე გადავიდოდეთ, წინასწარ აღვნიშნავთ, რომ თავიდანვე სერიოზულ პრობლემად წამოიმართა ამომრჩეველთა სიების არასრულყოფილება, რამაც საარჩევნო უბნებზე მოძალებული ხალხის უკმაყოფილება და ამაღლებული ტონით შელაპარაკებები გამოიწვია.

მართალია, დილით საარჩევნო უბნებში ცნობილი გახდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადება, რომ მოქალაქეებს, რომელთა გვარებიც სიებში არ არის, უნდა მიეცეს ხმის მიცემის საშუალება ეგრეთ წოდებული პირველადი სიების საფუძველზე, მაგრამ მოგვიანებით ეს განკარგულება გაუქმდა ისევ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

**მიუხედავად ამ და სხვა ცდომილებებისა, ხმის მიცემა დილიდანვე ნორმალურად წარიმართა.**

**ვაკე-საბურთალოს რაიონის 23-ე საარჩევნო უბანში** 13 საათისათვის 1833 ამომრჩევლიდან 25 პროცენტმა უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება მომავალი პარლამენტისადმი. როგორც კომისიის თავმჯდომარემ ლევან გახოკიძემ განაცხადა, დილიდანვე საარჩევნო უბანში საკმაოდ დიდი რიგი დადგა, მაგრამ პროცედურა ყოველგვარი ექსცესებისა და გაუგებრობის გარეშე მიმდინარეობდა.

სულ სხვა მდგომარეობა დაფიქსირდა **წყნეთის 48-ე საარჩევნო უბანში,** სადაც უბრალოდ დაავიწყდათ ურნების დალუქვა, ეს კი საარჩევნო კანონის სერიოზულ დარღვევად ითვლება. იგივე დაუდევრობა დაუშვეს მცხეთაშიც.

საერთოდ, ძნელი მოსალოდნელიც იყო, რომ ათასობით საარჩევნო უბანში ყველაფერი იდეალურად იქნებოდა აწყობილი, მაგრამ, ალბათ, არც მოულოდნელი სირთულეები შეგვექმნებოდა, რომ არა ეს უსაშველო ურთიერთდაპირისპირება, რომლის ფონზე თითოეულის სრულიად უბრალო და ორდინარული ნაბიჯიც კი რაღაც მტრულ მანევრად აღიქმება. აბა, როგორ უნდა გააკეთო ასეთ პირობებში საქმე, რომელიც საერთო ძალისხმევას მოითხოვს?

შუადღისას ახმეტიდან შეგვატყობინეს, რომ **სოფელ ხალაწანში ხმის მიცემის პროცედურა შეჩერდა**.

მოგვიანებით უკვე ცნობილი ხდება, რომ ორ საარჩევნო უბანში, კერძოდ კი, **საბურთალოს №27 და ხობის №24-ში ხმის მიცემა ჩაიშალა, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ეს პროცედურა განმეორებით გაიმართება.**

**უცხოელი მეთვალყურის ინტერვიუდან:**

— თქვენ თავისუფლება კი მოიპოვეთ, მაგრამ ჯერ ეს არ გაგითავისებიათ, სწორედ დემოკრატიულმა არჩევნებმა უნდა მოგცეთ ამ თავისუფლების შეგრძნების განცდა. მთავარია, ეს განცდა დაეუფლოს ახალგაზრდობას.თუ ეს მოხდა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გზის მთავარი მონაკვეთი გავლილია.

საერთოდ, დღის განმავლობაში ადგილებიდან ბევრი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მოდიოდა. თუმცა ესეც არაა გასაკვირი, რადგან ამ არჩევნების მიმართ საქართველოში, ალბათ, გულგრილი არავინ დარჩენილა, ამიტომაც ნებისმიერი დარღვევა ყურადღების გარეშე არ რჩებოდა. სხვა მრავალ მეთვალყურესა და ორგანიზაციასთან ერთად დარღვევებზე არც პოზიციას დაუხუჭავს თვალი და არც ოპოზიციას. თუმცა ხმის მიცემის პროცესის კომენტირებისას მხარეებმა მაინც ვერ დაძლიეს არჩევნებისწინა ბრძოლებიდან გამოყოლილი სინდრომი და აქაც ყველაფერში ერთმანეთს სდებდნენ ბრალს. მიუხედავად ამისა, საღამოსათვის უკვე გამოიკვეთა იმის შეგრძნება, რომ ამ საერთო-სახალხო ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და არჩევნები თავის კანონზომიერ ფინალს მიუახლოვდა.

საარჩევნო უბნების დახურვამდე ნახევარი საათით ადრე არაოფიციალური მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 40 პროცენტზე მეტმა ამომრჩეველმა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს უკვე ახალი პარლამენტი ჰყავს.

**საქინფორმის კორესპონდენტთა ბრიგადა.**

### „ნაციონალებმა“ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სცემეს

**ადიგენის რაიონის სოფელ ზორჩანში 20 წუთის განმავლობაში პარალიზებული იყო საარჩევნო უბანში საარჩევნო კომისიის მუშაობა. როგორც კომისიის წევრები აცხადებენ, მთვრალი პირები უბანში შეიჭრნენ და სცემეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დათო გელაშვილი.**

**პოლიციამ უკვე დააკავა აღნიშნული პირები.**

### საარჩევნო ყუთი დაამტვრია

**მცხეთის № 1 საარჩევნო უბანზე ინციდენტი მოხდა.**

**როგორც „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი იტყობინებოდა, № 1 საარჩევნო უბანზე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის დავით ზეიკიძის შვილმა საარჩევნო ყუთი დაამტვრია.**

### ენგურზე გადასასვლელები გადაკეტეს

**გალის რაიონის სოფელ ფახულანიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის ტერიტორიაზე, სადაც გახსნილი იყო საარჩევნო უბანი, გალის აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები დევნილებს არ ატარებდნენ. გალის აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გადაკეტილი ჰქონდათ მდინარე ენგურზე ყველა გადასასვლელი — ხიდებიც და მდინარეზე არსებული ფონებიც.**

### ბათუმში მკვლელობა მოხდა

**გუშინ საღამოს ბათუმში № 79 საარჩევნო უბანთან სისხლი დაიღვარა. მოკლულია ჯემალ ვერულიძე, რომელიც საარჩევნო უბნიდან ოციოდე მეტრში მის კუთვნილ „BMW“-ს ტიპის ავტომანქანაში ჩაცხრილეს. ვერულიძე ადგილზე გარდაიცვალა, დაჭრილია შემთხვევითი გამვლელი ბავშვიც, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

### საფრანგეთის სენატორები ბოლნისში

**ბოლნისში არჩევნებს საფრანგეთის სენატორებიც აკვირდებოდნენ. საფრანგეთის სენატის ოთხმა წარმომადგენელმა, როგორც უმრავლესობიდან, ასევე ოპოზიციური პარტიებიდან, ბოლნისის საარჩევნო უბნები მოინახულა და საარჩევნო პროცედურის მიმდინარეობით კმაყოფილი დარჩა. ერთადერთი დარღვევა, რომელიც მათ ბოლნისში შეამჩნიეს, საარჩევნო პროცესის 20 წუთის დაგვიანებით დაწყება იყო.**

### რუსთავის მეცხრე საარჩევნო უბანზე მთვრალები შეიჭრნენ

**თვითმხილველთა თქმით, საარჩევნო უბანზე შეჭრილი პირები ისროდნენ სკამებს, ყვიროდნენ და საარჩევნო ყუთიც დაამტვრიეს.**

**საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, თავდამსხმელები დაახლოებით 16 კაცი იყო, რომლებიც პოლიციელებს არ დაემორჩილნენ. ინციდენტის შედეგად რამდენიმე ადამიანი მსუბუქად არის დაშავებული.**

### გამტაცებელი დააკავეს

**პოლიციამ უკვე დააკავა პიროვნება, რომელმაც გლდანის რაიონში მოქმედი ერთ-ერთი საარჩევნო უბნიდან საარჩევნო ყუთი გაიტაცა.**

### სიები დახიეს

**ადიგენში, 37-ე უბანზე, ამომრჩეველთა სიები გადახიეს.**

**ინტერ-პრესი.**

ერთი უბანი

# ასეთი აქტიურობა არასოდეს ყოფილა

**ჩუღურეთის რაიონის № 11 საარჩევნო უბანში, რომელიც სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შენობაშია განთავსებული, დილიდანვე ხალხმრავლობა იყო.**

საარჩევნო უბნის შესასვლელში დამოუკიდებელმა დამკვირვებელმა ლუბა ერზინამ მიიქცია ჩემი ყურადღება.

ქალბატონი ლუბა პროფესიით ბუღალტერია და საკუთარი ინიციატივით გადაუწყვეტია დამკვირვებლობა. — რატომ? იმიტომ, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს, არ გაყალბდეს.

საარჩევნო დრო ისე მიილია, რომ არავითარი სერიოზული ექსცესი არ მომხდარა, — მეუბნება ქალბატონი ლუბა.

— დილიდან აქ ბრძანდებით, რას ამბობენ, თქვენი აზრით, რომელ პარტიას უჭერენ მხარს ამომრჩევლები?

— ჩემი საიდუმლოა, რატომ გაგიმხილოთო, — აი, ბევრის პასუხი.

უკმაყოფილოც ბევრი გამოდის, რადგან სიაში არ არიან, ხან საით აგზავნიან და ხან საით.

კარში შემომეფეთა ხანში შესული, აღშფოთებული მანდილოსანი, რომელიც ციალა ბაზიარი აღმოჩნდა.

— გუშინ ვიყავი სიაში, — ახლა აღარა ვარ, რას ჰგავს ეს, მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ...

ვესაუბრები საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარეს ბექა ჭყონიას.

— ეს ქალბატონი უნდა წაბრძანდეს საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც ბეჭდით დამოწმებულ ცნობას მისცემენ, მოვა და პრობლემა მოიხსნება.

— ნუ გაგიკვირდებათ, — მეუბნება კომისიის წევრი თეიმურაზ შენგელია, — ასეთი აქტიურობა არც ერთ წელიწადს არ ყოფილა. ჯერ ხუთი საათია და უკვე ამომრჩეველთა უმრავლესობას აქვს ხმა მიცემული.

ნანა დევდარიანმა ხმის მიცემასთან დაკავშირებით რამდენჯერმე ჭკვიანური გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ მათი სწორი გაგებაც და დროულად შესრულებაც გაჭირდა.

სხვა მხრივ ამ უბანში ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით წავიდა...

**მარადი ანასაშვილი.**

SIC!

# დემოკრატია ოპოზიციურად

**არჩევნების დღეს ამა თუ იმ პარტიის პროპაგანდა ან განქიქება აკრძალულია. არ ვიცი, რომელი საკანონმდებლო აქტით, მაგრამ ეს ასე იყო ყოველთვის.**

1 ნოემბრის ღამეს ტელეარხებმა საზეიმოდაც კი გამოაცხადეს, ღამის 12 საათიდან ყოველგვარ საარჩევნო კამპანიას ვწყვეტთო.

მაგრამ ეს თურმე მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის მიმართ!

ოპოზიციურ პარტიებს არავითარი აკრძალვა არ შეხებიათ.

ჰოდა, „რუსთავი-2“-მა ლამის მთელი დღე ურტყა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“. ეკრანი დაუთმეს ზურაბ ჟვანიას, მიხეილ სააკაშვილს და სხვებს, რომლებიც ტელემაყურებელს არწმუნებდნენ, სახელისუფლო ბლოკმა „პირწმინდად წააგო არჩევნები“, ახლა ისღა დარჩენია გააყალბოს შედეგები და, არიქა, ამის საშუალება არ მივცეთო. „კმარას“ სატელევიზიო რეკლამაც წამდაუწუმ გვჭრიდა თვალს, „კმარა შევარდნაძეო“. არადა, არჩევნები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა...

ეს არის დემოკრატია და სამართლიანობა, რის შესახებაც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან ჩვენი პოლიტიკოსები და ტელეჟურნალისტები? სადაც წესი და მართლა დემოკრატიაა, სახელისუფლებო ბლოკმა ამისთვის სასამართლოში უნდა იჩივლოს და ცხვირიდან ძმარი ადინოს ამ ახალი ჯურის „დემოკრატებს“.

**ბორის კუტალაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 296, ორშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი.



## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

**კავალიონ ჯიქიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი პრაქტიკული, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროს სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი **კავალიონ ჯიქია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

**ნუგზარ მალაშხიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებზე აღდგენითი სამშენებლო სამუშაოების მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებასა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება ზუგდიდის კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების დირექტორი **ნუგზარ მალაშხია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## თვალსაწიერი

# ვინც კი წელზევით სურათი გადაიღო, ყველამ დეპუტატობა მოინდომა...

(პირველი გვერდიდან)

აბა, რეფერენდუმი ჩაატარეთ ერთადერთი შეკითხვით: „შესძლებთ საქართველოს პრეზიდენტობას?“ დარწმუნებული ვარ, რეფერენდუმის მონაწილეთა ნახევარი გიპასუხებს, „დიახო“ (ოღონდ, შეიძლება, სხვადასხვა ინტერპრეტაციით: – „მაშ!“ „მა რა!“ „რავა არა!“ „კიე!“ „ჰოდე“ და ა. შ. თავისი განათლებისა და ინტელექტის მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, ხელს სულაც არ შეუშლის პრეზიდენტობაში).

მაგრამ ეს სახვალიო საქმეა.

სადღეისო კი ის არის, რომ „დიქტატურის“ წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი დასრულდა (ოღონდ კონკრეტულად ვისი გამარჯვებით, ამას დაზუსტებით დღეს-ხვალ შევიტყობთ).

ეჭვი მიჩნდება, რომ „დიქტატურის“ წინააღმდეგ მებრძოლებმა უბრალოდ არ იციინან, რა არის დიქტატურა.

დიქტატურა სხვადასხვა სახით ვლინდება.

ამ დღეებში ყირგიზეთში გახლდით. ცენტრალური აზიის ეს რესპუბლიკა, როგორც იტყვიან, სიგრძე სიგანით მოვიარე. თვით ბიშკეკზე რომ არაფერი ვთქვა, დედაქალაქიდან ისიკ-ყულის ტბამდე 250 კილომეტრი ისე გავლიე, წამდაუწუმ გვხვდებოდა ბედნიერი ყირგიზეთის ფონზე მომღიმარ პრეზიდენტ ასკარ აკაევის უზარმაზარი ბილბორდები. რაგინდ „იკლიკანტური“ შეკითხვაც არ უნდა მისცე, ყირგიზ მოქალაქეს თავის პრეზიდენტზე ძვირს ვერ დააცდენინებ (ხმამაღლა, თორემ ცოლ-ქმარი ლოგინში ჩუმად რას პუტუნობენ, ნამდვილად არ ვიცი), ჩვენგან განსხვავებით, სადაც პრეზიდენტის ლანძღვა „დემოკრატიის“ ნიშანია.

ხო, ხო, ხო, რა ამბავი ატყდება, ხვალ რომ თბილისის პროსპექტები და ქვეყნის მთავარი გზატკეცილები პრეზიდენტ შევარდნაძის ბილბორდებით მოირთოს!

დარწმუნებული ვარ, ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს ელდისა და ბოღმისაგან სისხლი ჩაექცევა, ზოგიერთი შეიძლება ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც მოხვდეს. აი, ტელეარხების უმრავლესობა კი, ალბათ, ბარიკადებისკენ მოუხმობს მოსახლეობას.

ჩვენი გმირი ტელეარხები... რა ბევრი რამ გააკეთეს მათ ელექტორატის მოსაწამლავად ამ ბოლო თვეებში. რა ბევრი გააკეთეს თუნდაც გუშინ, არჩევნების დღეს, უნდობლობის დასანერგად, გინდათ თუ არა, არჩევნები დარღვევებით მიმდინარეობსო. მხოლოდ ნეგატიური მომენტები, ერთი და იგივე ფაქტების მთელი დღე ტრიალი 9-დან 9 საათამდე, ისევ და ისევ უარყოფითი ემოციების გამოსაწვევად.

არადა, არჩევნები ძირითადად მშვიდად, ნორმალურად მიმდინარეობდა, რაც მთავარია, ამომრჩეველთა ძალზე დიდი აქტივობით. რა თქმა უნდა, იყო ცალკეული დარღვევები, მაგრამ, არა საერთო პროცესზე გადამჭრელად ზემოქმედი...

თუ შედეგებიც ასევე მშვიდად აღიქმება პოლიტიკური სპექტრის მიერ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ გაჭირვებისა და პრობლემების მიუხედავად, წინ გადადგა ნაბიჯი, რომ მოსახლეობა არ იქცა და აღარ იქცევა პოლიტიკურ მარიონეტად, რომელსაც ძაფებით ათამაშებენ პოლიტიკური შარლატანები.

დრო კია, ღმერთმანი!

**ალეკო ასლანიშვილი.**

## გუშინ, არჩევნებზე...

# პოლიცია მხოლოდ წესრიგს იცავდა

**გუშინ, საპარლამენტო არჩევნების დღეს, სრულად იყო მობილიზებული პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა. მას დაკისრებული ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, არჩევნების ნორმალურად ჩატარება, ხმის მიცემისა და დათვლის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენების საარჩევნო უბნიდან უსაფრთხო გატანა.**

დილის რვა საათისათვის ყველა საარჩევნო უბანთან მობილიზებული იყო პოლიციის მუშაკთა ის რაოდენობა, რაც საკმარისი იქნებოდა ამ უბანში საჭირო სიმშვიდის დასაცავად. პოლიციელები განლაგებული იყვნენ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით თბილისში, რუსთავში, სხვა დიდ ქალაქებში, აგრეთვე, სამხარეო სამმართველოებში შექმნილი იყო მობილური ჯგუფები, რომლებიც საარჩევნო პროცესის ჩაშლის მცდელობის ან სხვა კანონდარღვევის პროვოცირებისას დაუყოვნებლად განახორციელებდნენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მათ შორის, ძალისმიერს.

გარდა ამისა, უშუალოდ მინისტრის განკარგულებაში იმყოფებოდა სპეციალური რეზერვი, რომელშიც საგანგებოდ მომზადებულ სპეცრაზმთან ერთად შედიოდა სხვა ძალები და საშუალებები. აქვე უნდა ითქვას, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციის დანაყოფებმა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტების დაცვა.

შს სამინისტროდან თითოეულ რეგიონში მივლინებული იყვნენ მინისტრის მოადგილეები და მთავარი სამმართველოების უფროსები. ისინი თავიანთ საკურატორო სამხარეო დანაყოფებისა და სამსახურებში ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად აწესრიგებდნენ სიტუაციას არჩევნების მშვიდობიან ატმოსფეროში ჩასატარებლად.

უშუალოდ სამინისტროში სპეციალურ შტაბს გუშინ სათავეში ედგა მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე. იგი მთელი დღის განმავლობაში ადგილებიდან ოპერატიულად იღებდა შეტყობინებებს და ასევე ოპერატიულად ახდენდა პოლიციის საჭირო ძალების გადაადგილებას თუ მობილიზებას.

იმის გამო, რომ არჩევნების დღეს პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა გადასული იყო ყაზარმულ მდგომარეობაზე, ე. ი. 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდა თავის სამუშაო უბანზე ან მივლინებული იყო სხვა რეგიონში, პოლიციის თანამშრომლებს საშუალება არ ჰქონდათ ხმა მიეცათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამიტომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, სამინისტროს სისტემის თითოეულმა თანამშრომელმა თავის სასურველ პოლიტიკურ ძალას თუ დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა მისი დისლოკაციის სიახლოვეს მიწერილ საარჩევნო უბანში. მაგალითად, შს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა ხმა მისცეს კრწანისის რაიონის № 9 საარჩევნო უბანში.

პოლიციის ამგვარი მობილიზებისა და ორგანიზებულობის წყალობით არჩევნებმა, გარდა ცალკეული შემთხვევებისა (მაგალითად, რუსთავში, მცხეთაში, ტყიბულში) მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

# გისოსებს მიღმაც საჭირო ხმებია



**იქ შესვლა ადვილი არ აღმოჩნდა.**

**საბუთებისა და მობილური ტელეფონის ჩაბარების შემდეგ ლითონზე გაფაციცებულმა აპარატმა დაცვის სამსახურს ამცნო, რომ ცივი იარაღი შემაქვს. გამჩხრიკეს. გაირკვა, რომ მგრძნობიარე აპარატი, უბრალოდ, ჩემი ჩანთის რკინის ბალთამ შეაცდინა.**

თბილისის მე-5 საპყრობილის შიდა ეზოში გუშინ ბევრი ჟურნალისტი შეიკრიბა, მაგრამ პატიმრებამდე არ მიგვიშვეს.

მედიის წარმომადგენლებს აგვიხსნეს, რომ არჩევნების პროცესისთვის მხოლოდ თვალის მიდევნების უფლება გვაქვს და პატიმრებთან გასაუბრება გვეკრძალება.

რას ვიზამთ, სხვა გზა არ არის...

საქართველოში 2338-მა ეჭვმიტანილმა უნდა მისცეს ხმა თავის რჩეულს. მათი უმეტესობა – 1600-ზე მეტი ამომრჩეველი – თბილისის მე-5 საპყრობილეში იმყოფება.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პატიმრებს, რომლებსაც ჯერ თავისუფლება არ აღკვეთიათ, შეუძლიათ მონაწილეობა არჩევნებსა და რეფერენდუმში. მაგრამ მათი უმრავლესობა, კრწანისის მკვიდრთა გარდა (ასეთი 24 პატიმარია), მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ვერ მისცემს ხმას. უფლება აქვთ მხოლოდ პროპორციული სისტემით გამოხატონ არჩევანი. მსჯავრდადებულებს კი, ცხადია, ხმის უფლება დროებით ჩამორთმეული აქვთ.

არჩევნები რომ უექსცესოდ, მობილიზებულად ჩატარებულიყო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ყაზარმული რეჟიმი გამოცხადდა. 750 თანამშრომლისთვის დეპარტამენტის შენობაში კრწანისის რაიონის მე-19 საარჩევნო უბანი გაიხსნა.

თითო-თითოდ გამოყვანილი პატიმრები გვარის დასახელების შემდეგ იღებდნენ ბიულეტენებს, შედიოდნენ ღია კაბინაში, შემოხაზავდნენ სასურველ ნომერს და გამჭვირვალე ყუთში აგდებდნენ კონვერტს.

მარკირება, ცხადია, საჭირო არ არის.

აქ არ არიან „მკვდარი სულები“, არ ტრიალებენ „კარუსელები“, არავინ დავობს გაყალბებულ სიებზე...

არჩევნები უხმაუროდ ჩატარდა. მეტიც, საუბნო კომისიის წევრი ქალბატონები, რომლებიც გადასატან ყუთს ახლდნენ, ძალიან კმაყოფილი იყვნენ ამომარჩეველთა აქტიურობითა და თავაზიანობით.

როგორც ამბობენ, ციხეში ხმების გადანაწილება წინასწარ ხდება (იქ თავისებური კანონებია). მავანი პარტიული ძალა უკავშირდება „ავტორიტეტს“, რომელიც სხვა პატიმრებს ავალებს, ხმა მისცენ მისთვის საჭირო საარჩევნო სუბიექტს... ვერაფერს გეტყვით. ამომრჩევლებთან გასაუბრების უფლება ჩვენ არ გვქონდა. თუმცა, რომც გვქონოდა, გულწრფელები, ალბათ, მაინც არ იქნებოდნენ. ერთი რამ კი ცხადია – ბრალდებულებს ერთსულოვნად უნდოდათ არჩევნებში მონაწილეობა.

**რუსუდან გახარია.**

**ლევან ლომაძის ფოტო.**

# ხელი წვიმამაც ვერ შეუშალა

**ეს დღეებია, შიდა ქართლში ხან წვიმს, ხან ქარია, ხან მზე გამოანათებს. პოლიტიკური ამინდიც ცვალებადობით გამოირჩეოდა.**

მაგრამ რაიმე სერიოზული, რომელიც ჩირქს მოსცხებდა, ტახალს ესროდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, არ მომხდარა.

დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში დილაუთენია გახსნილ საარჩევნო უბნებს ხალხი რომ მიაწყდა – არჩევნები დაიწყო.

აქტიურად დაიწყო არჩევნები № 32 გორის საოლქო საარჩევნო უბნებშიც. სამიოდე საათში 12 ათასზე მეტ ამომრჩეველს ჰქონდა მიცემული ხმა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი რაზმაძე აშკარად კმაყოფილი ჩანდა. ეგ იყო ოღონდ, სამხრობის ჟამს გაუფუჭდა ხასიათი, როცა ზერტიდან ამბავი ჩამოიტანეს – საარჩევნო უბანი დახურესო. საოლქო კომისიაში კარგა ხანს არ სჯეროდათ, მაგრამ, როცა ზერტიდან საარჩევნო ყუთი ჩამოიტანეს და კომისიის წევრებიც ჩამოჰყვნენ, ნათელი გახდა – ზერტში არჩევნები ჩაიშალა.

საღამოს 17 საათისთვის ლიახვის ხეობის სოფლების 4468 კაცმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, გორის № 32 საარჩევნო ოლქში კი 40 ათასმა ამომრჩეველმა მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი.

**გურამ ვაშაკიძე,**

**„სრ“ საკ. კორ.**



ხმის მიცემა თბილისის მე-5 საარჩევნო ოლქის მე-6 საარჩევნო უბანში. აქ ათასობით ამომრჩეველმა შეუფერხებლად გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება.

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 296, ორშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი.

განსჯა

**ისე მოხდა, რომ დავესწარი ტელეკომპანია „იმედის" „თოქ-შოუს" ერთ-ერთ გადაცემას, რომელიც ეხებოდა პირადად ჩემთვის მეტად მტკივნეულ საკითხს და, ბუნებრივია, მას გულგრილი არ დავუტოვებივარ. მოგვიანებით, გადაცემასთან დაკავშირებული ნაფიქრალის განდობა შესაძლოდ ჩავთვალე, რადგან, მართალია, დილეტანტის დონეზე ნააზრევი ბევრისათვის შეიძლება საინტერესო არ აღმოჩნდეს, მაგრამ, იქნებ, ვინმეს მაინც დაეხმაროს არჩევანის გაკეთებაში.**

# არჩევანი...

**„არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს"**

ორიოდ სიტყვით იმაზე, თუ როგორია იმ გადაცემის „ფორმატი", რომელსაც ბატონი ჯანრი კაშია უძღვება. რედაქცია აუდიტორიას სთავაზობს სიუჟეტს (ფინალური სცენის გარეშე) წინასწარ მომზადებული კინოსიუჟეტის სახით, რომელიც, როგორც წესი, მორალურად მეტად მტკივნეულ პრობლემას ეხება და შემდეგ კი ხდება დამსწრე საზოგადოების აზრის გამოვლინება. იმჯერად შემოთავაზებული იყო ასეთი: 30-იანი წლების ბოლოა, ახალგაზრდა კაცი მეზობელს ასმენს „სადაც ჯერ არს" (მოტივი უცნობია!), ხოლო ამის შემდეგ იგი (ამის მოტივიც უცნობია!) უმშობლებოდ დატოვებულ ბიჭს პატრონობს (როგორც ჩანს, — იშვილებს). კინოსიუჟეტის მეორე ნაწილი დღევანდელობას ასახავს — ასაკოვანი მოხუცისათვის ახალგაზ-



რდობაში ჩადენილი დანაშაულის მძიმე ტვირთის ტარება გაუსაძლისი ხდება და იგი იმ გადაწყვეტილებამდე მიდის, რომ შვილს სიმართლე უნდა გაუმხილოს. სწორედ აქ შეწყდა სიუჟეტი და საკითხი გადაცემაში მონაწილე საზოგადოების წინაშე (უნდა ითქვას, რომ დამსწრეთა საკმაოდ დიდ ნაწილს, ნახევარს მაინც, ახალგაზრდობა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სტუდენტობა წარმოადგენდა) ასე დაისვა: უნდა უთხრას თუ არა მამამ ნაშვილებს სრული სიმართლე? მარტივი ლოგიკით საუბარი ლუსტრაციის კანონის შემოღების აუცილებლობის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლამდე ბუნებრივად მივიდა და, ამდენად, სწორედ იგი გახდა პაექრობის ძირითადი თემა. გადაცემა, ალბათ, ბევრმა ტელემაყურებელმა ნახა და მასზე აღარ შევჩერდები. ამჯერად მე პრობლემის მორალური, ეთიკური მხარე მაინტერესებს, რომელიც, სამწუხაროდ, ჩრდილში დარჩა, თუმცა კი ვფიქრობ, რომ არც ის არის ნაკლებ მნიშვნელოვანი.

თითქოს საკამათო არ უნდა იყოს, რომ პრობლემა მრავალწახნაგოვანია და ასევე მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებს. თუ მას დავანაწევრებთ და ასე წარმოვიდგენთ: ერთმა ადამიანმა დაასმინა მეზობელი, ამ უკანასკნელის ობოლს კი სხვამ უპატრონა, განსჯა გაცილებით გაგვიადვილდებოდა — პირველი უდავოდ დამნაშავეა, მეორე კი მხოლოდ ქებასა და მადლობას იმსახურებს. კარდინალურად იცვლება მიდგომის სირთულე ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ორივე ამ საქციელის ჩამდენი ერთი და იგივე პიროვნებაა — განა გვაქვს კი ხელთ ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მოშველიებითაც შესაძლებელი იქნებოდა არწყვა იმ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, რომლის საპირწონედ უცხო ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა, აღზრდასა და კაცად ჩამოყალიბებაზე აღებული პასუხისმგებლობაა დადებული? რატომ არის, რომ ადამიანმა სიბოროტის ცნების ფორმალიზაცია ოდითგანვე შესძლო — ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში არსებობდა დაწერილ თუ დაუწერელ კანონთა კოდექსი — ამ დანაშაულს ჩაიდენ, ასე დაისჯები, ისეთს — იმით, და ა. შ. რაც შეეხება სიკეთეს, მისი კლასიფიკაცია, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიფერენციაცია, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ მორალურ, ზნეობრივ შეფასებათა არეში განიხილება ყოველთვის და ოდენ ემოციურ კატეგორიათა სისტემაში მოიაზრება. რატომ?

თანამედროვე ანთროპოლიგიის მიხედვით კაცობრიობის დღევანდელი მოდგმა Homo-ს გვარს განეკუთვნება. თუ მისი არსებობის მხოლოდ ბოლო ხუთი ათას წელს გადავავლებთ თვალს (ამ პერიოდის შესახებ არსებული ფაქტოლოგიური მასალა დამაჯერებლად მსჯელობის საფუძველს იძლევა), დავინახავთ, რომ გონებრივი განვითარების თვალსაზრისით ადამიანმა კოლოსალური წინსვლა განიცადა და ეს პროცესი ლამის გეომეტრიული პროგრესიით ხორციელდება, მაშინ, როდესაც მის მორალურ სამყაროში, სამწუხაროდ, პრინციპული ძვრა უკეთესობისკენ არ აღინიშნება. თუ მარტივ ანალოგიებს მოვიშველიებთ, შეიძლება ითქვას, რომ კაენის მითიური დანაშაულიდან დღემდე თითქმის არაფერი შეცვლილა — უსასტიკესმა დანაშაულობებმა არამცთუ დღემდე შემოინახეს ადგილი ჩვენს გვერდით, არამედ იდეოლოგიურ საბურველში გახვეულებმა, ტოტალური ხასიათიც კი შეიძინეს ახლო წარსულში (ფაშიზმი, ჰოლოკოსტი, საბჭოური კომუნიზმი, პოლ პოტისეული რეჟიმი და ა. შ.), რითაც მასობრივი დანაშაულობანი უფრო „მაღალ" რანგში აიწია (ამით იყო გამოწვეული, ჩემის აზრით, დანაშაულის ახალი კატეგორიის — „ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილის" ცნების შემოღების აუცილებლობა). რითი არის გაპირობებული ასეთი დისბალანსი ადამიანის გონივრულ და ეთიკურ სამყაროთა სრულყოფილებას შორის?

საკითხი ღრმა ფილოსოფიურ წვდომას საჭიროებს და სიმარტივისათვის ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ადამიანის სულიერ სამყაროს ორი საწყისი მართავს — თეთრი და შავი, ნათელი და ბნელი, ბოროტი და კეთილი, სწორედ მათი მარადიული „ჭიდილის" შედეგი განაპირობებს ინდივიდის ბუნებას, მის ხასიათს, ხოლო ცალკეულ პიროვნებათა ფსიქოლოგიური წყობა კი ხშირად ფატალურ როლს ასრულებს ხალხებისა თუ ქვეყნების ისტორიაში. კარგად მესმის, რომ ბევრი ჩემს წარმოდგენებს ზედმეტად პრიმიტიულად მიიჩნევს, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ თუ კაცობრიობა „თეთრის", ნათელის, სიკეთის უპირატესობასა და აღმატებულებას მასობრივად აღიარებს, ეს მხოლოდ მოჩვენებითი, არამდგრადი ბალანსია, რომლის დარღვევაც ამა თუ იმ ადგილას, ან კონკრეტულ ვითარებაში, მარტივ კატალიზატორსაც კი შეუძლია. ამის ნათელი მაგალითი ბევრი მოიძებნება დღევანდელ სამყაროში. არც იმის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა გაჭირდება, რომ ადამიანის სულიერი სამყარო სრულყოფილების საწყის ეტაპს თითქმის არ გასცილებია და ამის საწინააღმდეგოდ, სამწუხაროდ, ვერ გამოდგება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის ტიტანური მცდელობის შედეგად მიღწეული უდავო წარმატებები — დემოკრატიზმის ნორმების დამკვიდრება, თავისუფალი საზოგადოებების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესობა და სხვ. ყოველივე ამან სასიკეთოდ ჯერ ვერ შეცვალა აღნიშნული დისბალანსი — ძმა ისევ კლავს ძმას, მეზობელი ისევ ასმენს მეზობელს, ხალხი ისევ მტრობს ხალხს. რაშია საქმე? ნუთუ ასეთი რამ კოდირებულია ადამიანის გენში? სხვა პასუხი თითქოს არ ჩანს. მაშინ, რას უნდა განეპირობებინა ასეთი რამ? აზრთა წყობის ასეთმა გზამ კაცი მისტიციზმამდეც შეიძლება მიიყვანოს და, ამით შეშფოთებული, მე ვისწრაფვი თავი საკუთარ „ჰიპოთეზას" შევაფარო: ისევე როგორც ცხოველთა სამყაროში, ადგილი აქვს „ბრძოლას არსებობისათვის", ძლიერის კულტს, როგორც ნიშანსვეტს ჯიშის, სახის, სახეობის გადასარჩენად, ადამიანის ბუნებაშიც არასდროს არ გაქრება, ალბათ, ბოროტი საწყისი, რადგან მუდმივი დაპირისპირება ამ „ორბუნებოვნებაში" არის უშრეტი „მწარმოებელი ძალა" იმისა, რომ ადამიანი დარჩეს ცოცხალი ბუნების სახედ, მოდგმად, ჯიშად. მცდელობა სრულყოფილებისა — ეს არის სწრაფვა იდეალისაკენ, რომელიც ჰორიზონტივითაა — ისიც ხომ აგერ არის, შენ წინ, თითქოს ხელშესახებ მანძილზე და მაინც მიუწვდომელია. იქნებ სწორედ ამაშია არსთაგამრიგეს სიბრძნე? დარჩება კი ადამიანი ჩვენი პლანეტის ცოცხალი ბუნების ნაწილად, სრულყოფილობას თუ მიაღწია? იქნებ დაეკარგოს კიდეც მაშინ მის არსებობას აზრი... აზრთა ასეთი ლოგიკური თანამიმდევრობა გვაიძულებს გამოსავალი მარტივ დასკვნაში ვპოვოთ:

იხ. მე-6 გვ.

ვაიმე, ენავ!

# რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...

**ეკრანული ქართულის „მარგალიტები"**

სტაციონარში წოლა ძვირადღირებული **სიამოვნებაა**... ერთი წნევა **გადავაკონტროლოთ** და გავჩერდეთ... მას ნორმალური **ეხოსკოპია** აქვს... ვნახოთ **ეხოლოგიური** მონაცემები... ხელისგულებში **ხდება** ამ აპარატების **მოთავსება** (I არხი, „ჯანმრთელობა").



— საარჩევნო სიების **დამრტყმელი ათეულები**... საქართველოს **ცხელი** პოლიტიკური **ათეული**... დაძაბულობის მუხტის შეტანა პარტიაში **დასჯადია**... ადამიანში **ნიხილიზმს** აღვიძებს... შეიძლება **მომხდარიყო** მათთვის ტყვიის **გასროლა**... იყო შავი **ფიარი** მის წინააღმდეგ... გამოირჩეოდა **პროფესიონალური** გამოსვლებით... იქ საცხოვრებელი ფონდია **ამორტიზირებული**... ეს სავსებით **მიღწევადია** („რუსთავი-2", კურიერი).

— კიდევ ერთი **გავრცელებული პერსონა** პირველ ოცეულში ვერ მოხვდა... სახელმწიფო ბლოკი **ვარაუდობს სავარაუდოდ** 70 კაცის გაყვანას... კიდევ ერთხელ **განვმეორდები** („იმედი", ქრონიკა).

— ჩემთვის მთავარი პრინციპია **გასვლადობა** („მოამბე").

— არსებობს **საკმაოდ კოლოსალური** შანსი... ჩვენ იმისათვის **ვბრძოლობთ**, რომ საქართველოში პრეზიდენტმა არ დანიშნოს **აზერბაიჯანისავით მემკვიდრე**. არჩევნების **არასამართლებრივ ჩატარებას**... ხელისუფლებისათვის არსებობს **ორი ალეტერნატივა: პარლამენტი რუსთაველის გამზირზე და მკაცრი რეჟიმის კოლონია რუსთავში** (I არხი, „ცაიტნოტი").

— ხელისუფლებამ უნდა მოსთხოვოს პასუხი, **თუკი ვინმეა დამნაშავე, ამის შესახებ**... მაშინ ნაკლებ **მოტყუებულ მდგომარეობაში** იყო ხალხი (I არხი, „ცაიტნოტი").

— ჩემთვის მთავარი ჩემი შვილის **მომავლებია** („მზე", მზერა).

— პროგრამა, რომელსაც მე **ვახმოვანებ**, იანვრიდან დაიწყო... თბილისური **ოჯახების რეაბილიტაციის პროგრამა მიწისძვრის გამო**... მთაწმინდა ძალზე **ამორტიზირებული** უბანია... მოსახლეობას აღარაფრის არ **ჯერამს**... დახმარება **იგრძნოს** კერძო **მეწარმეებმა... საინტერესოა,** რომელი **საინტერესო** ადამიანები დაიბადნენ დღევანდელ რიცხვში... როგორ **ფორმულირებას იღებს მათი იმედი** (I არხი „ალიონი").

კვირა



**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს გიგა ლორთქიფანიძე.**

## ქვეყნისთვის

— პარზს ვერაფერს ვიტყვი, რადგან გასულ კვირაშიც გრძელდებოდა დაულაგებელი ურთიერთობები, არაობიექტური შეფასებები, გრძელდებოდა არა ჭეშმარიტების ძიება, არამედ წინასაარჩევნო ისტერია. ძალიან მეშინია არჩევნების დღისა. ღმერთს ვთხოვ, რომ ამ დღემ მშვიდად და აზრიანად ჩაიაროს.

საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ბადრი პატარკაციშვილის მიმართვამ საზოგადოებრიობისადმი, რომელიც ტელეიმედის ეთერში მოვისმინე. ეს იყო ბრძნული გამოსვლა, რომლითაც ბადრი პატარკაციშვილმა მოუწოდა პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს და საერთოდ ხალხს იმისკენ, რომ გონებითა და გრძნობით და არა თვალდახუჭულად მოეკიდონ არჩევნებსაც და ქვეყნის მომავალსაც. ვიმეორებ, რომ ეს იყო ბრძნული, საეტაპო მიმართვა.

## ჩემთვის პირადად

— გასულ კვირაში გაიმართა ნოდარ დუმბაძის ნოველების მიხედვით გადაღებული ჩემი ახალი სამსერიიანი სატელევიზიო ფილმის „ღმერთო, რისთვის?!" პრემიერა, ჯერ კინოთეატრ „ამირანში", შემდეგ კი ტელეიმედის ეთერში. მიხარია, რომ ხალხმა კარგად მიიღო ეს ფილმი, მესიამოვნა, რომ ჩემმა და მთელი შემოქმედებითი ჯგუფის ნაღვაწმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ფაქტი

# ყალბი პასპორტებით, ვალეს გავლით...

30 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, ვალეს სასაზღვრო საკონტროლო გამტარ პუნქტზე მესაზღვრეებმა დააკავეს ქ. ქუთაისში მცხოვრები ცხრაკაციანი ჯგუფი ყალბი პასპორტებით. ისინი თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოს მოძიების მიზნით აპირებდნენ გამგზავრებას.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა სამცხე-ჯავახეთის ოპერატიულ განყოფილებას. მიმდინარეობს მოკვლევა.

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესის სამმართველო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეპისტოლე

ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

## შრომითა და ბრძოლით მოპოვების თაობაზე

ვიცი შენი ხასიათი და იკითხავ:

— არ გვქონდა წარსული, ქვეყანა, ისტორია?

— კი, ბატონო, გვქონდა, აბა, ასე, გამოქვაბულიდან კი არ გამოვმძვრალვართ. (თუმცა, გამოქვაბულიც ისტორიაა).

— მერედა, თუ გვქონდა, მეც ხომ მაქვს!

— კი, შენცა გაქვს...

— და თუ ქვეყნის პატრონი ვიყავით...

— კი, ზოგჯერ ვპატრონობდით, სასახელოდაც კი, ზოგჯერ ვერა და შიგადაშიგ სამარცხვინოდაც ვერა...

— მაგრამ თავისი ბნელიან-ნათლიანად ხომ გვქონდა და მეც ხომ მაქვს.

— გაქვს, რა თქმა უნდა, თავის ავკარგიანად.

— ესე იგი, რაღაცის მემკვიდრე ვარ, რაღაცნაირია და, სრულია თუ ვიწრო, ქუდი მხურავს და...

— მაგრამ თავი რომ ქუდში გაქვს, ამისი რა მოგახსენო...

— რატომ, თუ... როგორიც უნდა იყოს, ქუდი მაქვს, თავი ქუდში არ მექნება?!

— ქუდში თავის ქონა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, აშენებული, დამშვენებული ყოველნაირად მოხელკეთილებული ქვეყნის პატრონიც რომ იყო, სულ ერთია, დაღუპავ თუ თავი ქუდში გექნა და შენ და შენი ნაბადი იქენით.

— კი მარა, თუ მაქვს?!

— ამდენად გაქვს, რომ უნდა მოიპოვო.

— უნდა მოვიპოვო ის, რაც არა მაქვს და არა ის, რაც მაქვს.

— არა, ეს იმნაირი ქონებაა, გაქვს იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვებ.

— რაც მაქვს ის მოვიპოვო?!

— კარგად მომისმინე... ვიცი შენი ამბავი და არ დამეთანხმები.

— რაცა მაქვს, ის მოპოვებულიცაა. რაც ხელში მიჭირავს, სხვაგან ვეძებო?!

— აქ ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული. გაქვს, მაგრამ საშრომია, სამწყემსავია, საბრძოლოა, სადავიდარაბოა, მოსაპოვებელია და დასაცავი. ლოდები უნდა თრაქო, ციხე უნდა შემოაშენო, უნდა ემეციხოვნო. შენია და იქნება შენი. ამდენად არის შენი, მოიპოვებ და იქნება შენი. გაქვს, მაგრამ მზამზარეულად, ხელგაუნძრევლად კი არა გაქვს.

— არა, გულზე ხელების დაკრეფას არც ვაპირებ, — გაჯიუტდები შენ, გიცნობ და ვიცი. — მაგრამ რაც მაქვს, ხომ მაქვს და სხვაც, რამდენი რამაა მოსაპოვებელი, იმას ვეცდები.

— არა, ისიც მოსაპოვებელია, რაცა გაქვს და ისიც, რაც არა.

— გამოდის, რომ არაფერი გამაჩნია!

— რავა გეკადრება, ერთი პატარა ქვეყნის პირობაზე ყველაფერი გქონდა და რაცაა — შენია, მაგრამ...

— რა მაგრამ? — კი არაა მთლად ზრდილობიანი, მაგრამ შემაწყვეტინებ.

— რაცა მაქვს, ისიც მოსაძალისძალებელი მაქვს და რაც არა, ისიც?! არ ყოფილა ჩემი საშველი!

— კაცის საშველი რომ არაა და ღმერთმა ტანჯვისთვის გააჩინა, მაგი თუ ამდენ ხანს ვერ შეგასმინე, წყალი გვინაყავს და ესაა.

— მაინც წყლის ნაყვა არაა?

— აი, აქაა დამარხული ძაღლის თავი, რომ რაცა გაქვს და რაც არა, ყველაფერი მოსაპოვებელია.

— აბა, იქნებ იმ ბრძნულმა, ორჯერ ორის მაგალითმა გვაპოვნინოს ის, ასე მიუგნებელ ალაგას ღრმად დამარხული, ძაღლის თავი. ვთქვათ...

— ვთქვათ ორჯერ ორი ოთხია და შენ ქართველი ხარ.

— კი. — დამეთანხმები შენ. — როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე ქართველი ვარ. ეს მაქვს მამა-ბაბუისბაბუისაგან გადმოცემული და ამ მხრივ თავი ქუდში მაქვს.

— მაგრამ შენ ხარ და შენი ნაბადი?

— ამ მხრივ... ალბათ, მე და ჩემი ნაბადიც...

— როგორ? მემკვიდრეობით ხარ ქართველი, ყოველდღე არ იქართველებ, არ გაამკვიდრებ, არ ისისხლხორცებ და იქნები ქართველი, შენ და შენი ნაბადი?

— რატომ მე და ჩემი ნაბადი...

— იმიტომ, რომ იაზროვნებ ქართულად?

— აზროვნება...

— ჰო, ჰო, ქართულად თუ იაზროვნებ, როგორც რუსი აზროვნებს რუსულად, ოსმალო — თურქულად, იაპონელი, ჩინურად კი არა — იაპონურად და კანადელი ესკიმოსი — ესკიმოსურად.



— ალბათ...

— ასეთ დროს შენ დაიბნევი და დაბნეულ-დაფანტული ვერაფერსაც ვერ დაიმკვიდრებ. ამდენად, ის, რაც გაქვს, ვერ მოიპოვებ. ილაპარაკებ ქართულად?

— აბა, როგორ, რა ენაზეც ვაზროვნებ...

— იაზროვნებ, ილაპარაკებ და ილოცებ ქართულად?

— ვილოცებ...

— ქართულად, თორემ ღმერთმა ვინაც გაგაჩინა, იმ ენაზე ლოცვას ისმენს. დაწერ ქართულად?

— ქართულად, აბა, როგორ...

— ქართული ანბანით. სხვა მხრივ, ქართულად რომც ილაპარაკო, თუ არ წერე... წერა კი... სხვისი ანბანით არ გამოვა ქართული სიტყვის ანბანი — ქართული არაა, ვერ დაწერ. გვაქვს ჩვენ ისეთი ბგერები, რაც სხვისაში არაა. ესე იგი, გაქვს შენ შენი დამწერლობა, მაგრამ უნდა წერო, უნდა გადაწერ-გადმოწერო და, ამდენად, უნდა მოიპოვო. ასე რომ იძახო, ანბანი ჩემი მაქვს, თავი — ქუდშიო, შენია, მაგრამ არ იქნება შენი... ანდა, თუნდაც სიმღერა ავიღოთ. გაქვს შენ სიმღერა, მაგრამ თუ არ იმღერებ და არ იმღერებ ქართულად, ქართულად არ გაამრავალხმიანებ, არ ჩაახვევ, ჩააკრიმანჭულებ, ვერ მოიპოვებ, შენია, მაგრამ იქნება შენი? ან ცეკვა ავიღოთ, ანდა, ამასაც დავანებოთ თავი, ისაქნარებ ქართულად?

— უსაქმურობას და მცონარობას არ ვაპირებ.

— არა, მაგრამ ქართულად თუ ისაქმიანებ... ხვნა-თესვა... ან ვენახის სხვლა... ამასაც დავანებოთ თავი და ყურძნის კრეფა ავიღოთ.

— ჰო, ქართულად ყურძნის კრეფაც ხომ არ არსებობსო? — ვიცი, შენ ამას შეფარვით, მაგრამ საეჭვო ღიმილით იკითხავ... მე კი ისე თამამად გიპასუხებ, გაკვირვებული იმ ჭვანგიან ღიმილიან პირს დააღებ. შენ:

— წინდაწინ ხომ არ დავაღოო? — იკითხავ და ქვედა ტუჩს ზედა კბილებით დაიჭერ.

— არა, ჯერ კბილებით მაგ ჩარბი გეჭიროს, ჰოდა... შარშანწინ იყო, სწორედ შარშანწინ... ერთი ამერიკელი ფერმერი მესტუმრა, მევენახე ფერმერი. ყველაფერი ტექნიკაზე მაქვს აწყობილიო. კი ბატონო-მეთქი, ღმერთმა მოგახმაროთ, მაგრამ ყურძნის როგორა კრეფთ-მეთქი? — ამასაც ტექნიკით. — მაინც რაფერ — იმნაირად, რომ მიადგება მანქანა ვაზს, არხევს, არხევს, აჯანჯღარებს, აყრევინებს მტევნებს კუმპლებს, ცვივა იქვე, იმდენად მიმარჯვებულ ყუთებში, რომ ერთიც არ იკარგება.

— არ იკარგება, მაგრამ ბოძონძლოს მოგლეჯილი კუმპალი ხომ სკდება და თუ მაშინვე არ გაიწურა, არ ამჟავდება-მეთქი? — მაშინვე, ყოველ ორ საათში ქარხანაში იგზავნება და გადამუშავდებაო.

— კი მაგრამ, ალადასტურის ღვინოს როგორ აყენებთ-მეთქი?

— ეს, ალბათ თქვენებური ჯიშია, მაგრამ ჩვენთანაც რომ იყოს, ისევე, როგორც ვაყენებთო.

— ისე როგორ იქნება-მეთქი, როცა ის მტევან-მტევან უნდა დაიკრიფოს, რომ კუმპალი არ გასკდეს კი არა, არც გაიბზაროს. სიმშრალეში, მაღლა აკიდებულ წნელის ჩელტებზე, კი არ დაიყაროს, დალაგდეს, დაუნჯდეს და ორი კვირის მერე საწნეხელში ფეხით გაიჭყლიტოს, რომ ხუნწკალი არ გატყდეს და მაჭარი მაშინვე, ჩქეფად კი არ გავიღოთ და ჭურებში ჩავუშვათ, საწნეხელში წამოდუღება უნდა ვაცალოთ. წამოდუღება და არა დადუღება, რომ ღვინომ კუმპლის კანიდან ის კისკასა ლალის მოჭარბებული ფერი მიიღოს, ჭიქიდან მზესავით შემოგვანათოს. დალიო და მთვარეს და ვარსკვლავებს ხელი მიგაწვდენინოს.

დააღო სტუმარმა პირი და შენც რა დაგემართა, კბილებიდან ჩარბი რატომ ჩამოგვარდა?!

— ვენახიც გაქვს შენ მემკვიდრეობით, ყურძენიც, ღვინოც, მაგრამ თავი ქუდში კი არა, მოპოვება უნდა. გაქვს, მაგრამ თუ არ იძალისხმევე შენ და შენი ნაბადი ვერ იქნებით.

## რწმენის თაობაზე

რაც ადამიანი გაჩნდა, ღმერთიც გაჩნდა, ან, უფრო მართებულია, იყო ღმერთი და დახვდა ადამიანს.

ადამიანს რწმენის გარეშე არ უარსებია.

გექნება გაგონილი: ადამიანი იარაღის მკეთებელი ცხოველიაო.

არა, უღმერთოდ არა!

რწმენის გარეშე — არა!

იარაღის მკეთებელი ადამიანი რწმენის გარეშე მაინც იარაღის მკეთებელი ცხოველია.

— ჩვენ — ქართველებს პირველსავე საუკუნიდან, ქრისტეს მოციქულების — პირველი ხელიდან გვაქვს მიღებული ქრისტიანობა და ჩვენი რელიგიაც ისევე ოცი საუკუნისაა, როგორც მაცხოვარი...

არა, არა, არა! არ შეიძლება რწმენაზე ლაპარაკი.

თუ გაუწყრა ღმერთი და ვინმე ურჯულოს არა სწამს, რა უნდა ელაპარაკო, და ვისაც სწამს, ხომ სწამს და სწამს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ამინ, ამინ, ამინ!

## ჯარისკაცობის თაობაზე

ომი, არც მეტი, არც ნაკლები, კაცისკვლაა. კაცობრიობის ისეთი თანდაყოლილი ბოროტებაა, ჯერ კიდევ ადამისა და ევას შვილებმა, ამოდენა დედამიწაზე მათ მეტი რომ არავინ ჭაჭანებდა, ვერ იგუეს ერთმანეთი და კაენმა ღვიძლი ძმა აბელი გამოასალმა წუთისოფელს. ნახევარძმა მაინც ყოფილიყო, როცა, ევას ამის დიდი ნდობაც რომ ჰქონოდა, ადამისთვის ვისთან ეღალატა.

მას აქეთია, გაჩენის დღიდან, მოდგამს ეს ისედაც სამოთხიდან გამოძევებულ ადამიანს და რაც დრო გადის, მრავლდება. და რამდენად ჭკვიანდება და ბრძენდება, იმდენად მრავლდება მეომარი — მკვლელი და თავგაჩეხილი და გულგანგმირული დაღუპული.

ვერანაირმა ველურობამ, გადაველურებამ, გაკულტურებამ, სწავლამ, განათლებამ, ღმერთმა და ხატმა, ბოლოს და ბოლოს, მაცხოვრის ჯვარზე გაკვრამ ადამიანთა ცოდვებისათვის და სახარების ქადაგებამ — „არა კაც ჰკლა“-ო, ვერ უშველა. უშველა კი არა. იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, ადრე ერთსა და ორ დღეს რომ ქლეტდნენ ერთმანეთს, წლობით გაგრძელდა და თუ მაინც ელირსა დამთავრება, იმდღესვე ახლის დაწყების თადარიგს იჭერენ.

ომებს ვერც მტერი და ვერც მოყვარე ვერ ამართლებს. ერთმაც და მეორემაც იცის, რომ უბოროტესი ბოროტებაა და თვით დიდი ჰუმანისტები და ღვთისმოსავებიც იმის თადარიგში არიან, ისევ დაიწყოს და თავისიანმა სხვისიანი მეტი მოჰკლას. ესე იგი, მეტი ცოდვა დაიდოს. მერე უკრან ტაში, აიტაცონ ხელში და დასჭყივლონ: ვაშა, ვაშა და კიდევ ვაშაო! მკერდზე, მედალი არ აკმარონ, ორდენი დაჰკიდონ, მხრებზე — ჩინი და ჯინჯილები, რომ დანახვისთანავე უცნობი „გადამთიელიც“ კი მიხვდეს, ესაა ის კაცი, რომელმაც ბევრი გაჟლიტა.

არ გვინდა ეს, ვინმე ნაომარი და ათასჯერ სიკვდილს გადარჩენილი ნაწამები კაცი შეურაცხყოფად მიიჩნევს და დაგვამუნათებს: — აბა, რა მექნა, რომ არ მომეკლა, ის დამზოგავდაო? არა, რა თქმა უნდა.

და გაჩენის დღიდან დღემდე და, ალბათ, აწი კიდევ უფრო მონდომებით და უკეთესი ძალისხმევით და დიდი მოცულობით გაგრძელდება და გაგრძელდება ხოცვა-ჟლეტა.

არ დაიჯერო, ამ ბოროტებას... ადამიანი ჭეშმარიტ ანგელოზად რომ იქცეს და ქვეყანა სამოთხედ, ამ ამბავს რაიმე ეშველოს კი არა, ეშეღავათოს. გადახედე კაცობრიობის ისტორიას ჩასახვის დღიდან... ჩასახვას იმიტომ ვამბობ, რომ მუცელში რომ ჩაისახება, ორი ისახება. ჩვენ რომ ვამბობთ ორსულიაო, იმას კი არ ნიშნავს დედიან-შვილიანადაა ორი სული, ორი სული ემატება და მუცელში ჰყავს. მერე ერთი კაენი ჰკლავს აბელს და ჰა-ჰა-ჰა ასში და ათასში ერთი წყვილია, რომ წყვილად იბადება ერთმანეთის იმდენად ალიკვალი, მეორის მოკვლა თვითმკვლელობას ჰგავდა და თავისი თავი დაინდო, თორემ არა ძმა.

აკი ვთქვი, ადამჟამინდელი ამბავია და რა დროს ამაზე ჭკუის ჭყლეტა და ტვინის ნთხევაა, მაგრამ ასეა და... ამას ამბობდა ყველა დროში ყველა, ამას გეტყვის დღესაც ისიც კი, სულ ჭკუა რომ არ ეკითხება და მაინც უნდა ადგე, მიატოვო ყანა და ვენახი, წიგნი და ფუნჯი, ღმერთი, ხატი და სახარება, სახლი, კარი, მტერი, მოყვარე, ატირებული დედა და წახვიდე საჯარისკაცოდ — ასევე შენნაირი ჯარისკაცის დედის ასატირებლად.

სხვანაირად ვერაფერს იზამ, გინდა?.. ამნაირი რაიმე ვის რად უნდა. არ გინდა და უნდა ჰქნა.

მკითხავ: — თუ ვერანაირად ვერ ვამართლებ, არანაირი სასიკეთო არაფერია, ამისთანაზე ხელი როგორ მომიბრუნდება და ამისთანა ნაბიჯი რაფერ გადაედგმება?!

— მართალი ხარ. კაცის მოსაკლავად კი არა, საწყენიც რომ იყოს ან საჩოთიროც იქ რა გესაქმება, მაგრამ...

— მაგრამ აი, ასეთი რამ...

— ჩვენ შევთანხმდით, ჭეშმარიტი სიბრძნე უბრალოა, როგორც ორჯერ ორი ოთხი და ამჯერადაც ამნაირად მოვიქცეთ.

— ?!

— აგერ, ა, შენი ქვეყნის საზღვარი — ღობე. ამას აქეთ შენი, ღობის იქით — მეზობლის. იცი ეს შენ და იცის მეზობელმაც. ქვეყანამაც, კაცობრიობამაც. აგერ რუკა და გლობუსი, გეოგრაფია, ისტორია. და რა ხდება, ადგება ეს შენი ღობისიქითური და მოდის. — რას შობი, კაცო, შენ, რომ მოდიხარ, სად მოდიხარ! უჭირავს გატენილი თოფი და ჩახმახზე თითგამოდებული მოიწევს. გადმოდის ღობეზე, ეკლიანიც რომ იყოს — მოქაცვული, გადმოდის და მორბის.

— ეს ხომ ჩემია, დაეტიე შენსაში!.. — არ ეტევა, დაადებს თავს და მოძალისძალობს.

— ჩემი ჩემია და შენიც ჩემი უნდა იყოსო. — კი მარა, მერე მე სად მიშვებ?! — ეკითხები, უყვირი, უჯღავი.

— მამიჩემის მამასთანო! — (არადა, მამამისს მამა საიქიოში ჰყავს).

— მამაშენის მამასთან შენ წადი, ჩემთან რა გინდა, მე რას მემართლები. — მაგრამ არანაირი წივილკივილი არ ეყურება და თუ მაგრად არ დადექი და შენც არ დაიჭირე ჩახმახზე შემართული თოფი და არ იმარჯვე, მამამისის მამასთან შენ გაგგზავნის და თვითონ აგერ, ა, მამაშენის მამის ეზოში მოირთხამს ფეხს. არანაირი შეგონება, ზნეობა, სინდისი, ნამუსი თითქოს არც არსებულა და არანაირი სამართალი არ გაჭრის, თუ მამამისის მამასთან არ გაისტუმრებ. არ გაისტუმრებ და შენ გაგისტუმრებს.

ტყუილია ლაპარაკი და დიპლომატია. იქ უნდა იდგე, ღობის ძირში, თორემ, რომ იცის შენია და არა თავისი, იმიტომ უნდა. თუ მის ნებაზე აუშვი, თავისი ხომ თავისთავად და შენიც უნდა რომ დაირჩინოს. მერე შენს იქითა მეზობლისას ინდომებს და მერე და მერე ქვეყნიერებას არ იკმარებს...

მერედა, შენ რა გგონია, მემატიანეები გადაირევიან სიხარულით და ისტორია შენ სულ არ გახსენებს, იმისი ძეგლებით აავსებენ თავისას, შენსას და შენი მეზობლის ქვეყანას და ის კი არა, შეიძლება იქაც გამოაბრინჯაოგამოამარმარილონ იმ შენი და შენი მეზობლის დამაქცევარის ძეგლები, სადაც, რომელ ქვეყანაშიც არ შეუშვეს, ან ვერ მოასწრო ფეხის დადგმა.

რა გინდა რომ ჰქნა, არანაირი საშველი არა გაქვს. უნდა ადგე, გადაყარო მაგ შენი ბლუზა-შარვალი, დედაშენის ნაქსოვი წინდები, ნაბდის ქუდი და ჩაიცვა მიწას, ტყეს, ქვას და ბალახს შეხამებული სამოსი, ცხენივით რკინის ნალებიანი ჩექმები, რკინისავე ქუდი... მაგი არაფერი, გულიც უნდა გამოიცვალო. შენი, სახლში, ატირებულ დედაშენს უნდა დაუტოვო, ქვის უნდა ჩაიდგა და შაშვისთვის რომ თოფი არ გისვრია — მგალობელიაო... რომც გესროლა, ხელი აგიკანკალდებოდა და დააცილებდი, ახლა იმისთანა თოფი უნდა დაიჭირო და ისე დაუშინო, ტყვია ტყვიაში გააძვირინო, კაცი კაცზე მიაწვინო და „ცხენ-კაცისა დადგა გორი“.

ასეა ეს, ამას წყალი არ გაუვა, არანაირი სხვა გზა, სხვა გასაქანი. ახლოს გასაკარებელი რომ არაა და გვერდი არ აერება, ჯარისკაცობაა ეს. თანაც, კრიჭა რომ არ გეხსნება, ხალისით უნდა გააკეთო ეს. აბა, მოწყენილი და თვალცრემლიანი ჯარისკაცი ჯარისკაცია? თვალები თუ ცრემლითა გაქვს დალტობილი და თოფის მაგივრად ცხვირსახოცი გიჭირავს, ცხვირი შენ დაგიმშვენდა, ჯარისკაცი შენ იქნები.

როგორ იყო? რა დაგვიბარა იმ გონებადალოცვილმა? „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო, ხომ. და ჩვენ რომ გავიკვირვოთ, ვინ გვკითხავს, თვარა კი.

და რაკი ჩვენ იმდენი ჭკუა არა გვაქვს, ჩვენისა გვეყურებოდეს, ეგერ, ფრანცუზს ვკითხოთ — ონორეს... კი, კი დე ბალზაკს („დე“-ს თვითონ აკვეხებდა და ჩვენც ნუ დავწყვეტთ გულს), და რაო, თუ იცი? „ამ ქვეყანაზე არაფერია სრულყოფილი, გარდა უბედურებისა“-ო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 296, ორშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი.

განსჯა

# არჩევანი...

(მეოთხე გვერდიდან)

ადამიანი სუსტი, არასრულყოფილი არსებაა, „სწორი" გზიდან მისი გადაცდენა ძალიან ადვილია, და, ამდენად, საზოგადოება ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ შეუქმნას მას ცხოვრებისა და ყოფის ისეთი პირობები, რომლებიც, **არჩევანის აუცილებლობისას,** მაქსიმალურად შეზღუდავენ ნეგატიური გადაწყვეტილებების რეციდივებს.

მე ტყუილად არ გავუსვი ხაზი დარბაზში ახალგაზრდების სიმრავლეს – მომეჩვენა, რომ მათ უმეტესობას წარმოდგენაც კი არა აქვს რეპრესიების იმ უსასტიკეს პროცესებზე, ასეთი მასშტაბებით რომ ხორციელდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი საქართველოში და რომელმაც აპოგეას 1937-38 წლებში მიაღწია. არადა, ყოველივე ზემოთქმული სახიერ გამოხატულებას პოულობს სწორედ ამ მოვლენების ფონზე. მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს. იმ რეპრესიების ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა რუსი გენერალი, გვარად გორბატოვი, რომელმაც არნახული სულიერი სიმტკიცე და ფიზიკური გამძლეობა გამოიჩინა და მისთვის წაყენებული ბრალდებებიდან არც ერთი არ აღიარა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი მწამებლები იძულებულნი გახდნენ ამის შესახებ სტალინისათვის მოეხსენებინათ. „მსოფლიოს ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს" მისთვის ჩვეული „შავი" იუმორით უბრძანებია: И правда что горбатого могила исправит! (აქ გათამაშებულია სიტყვების – „Горбатова" და „Горбатого " – გამოთქმის მსგავსება). მაშინ ისეთი დრო იყო, რომ სტალინის ეს სიტყვები, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. მე, სამწუხაროდ, არაფერი ვიცი გენერალ გორბატოვის შემდგომი ბედის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი სიმტკიცე მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობს ბუნებაში, ადამიანთა მასა არ შეიძლება გმირთა ერთობლიობად განვიხილოთ, არ შეიძლება ყველას მოსთხოვო ასეთი ფიზიკური სიმტკიცე. ამით იყო, სწორედ გამოწვეული, რომ იმ პერიოდის „საქმეები" სავსეა როგორც „ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრაში მონაწილეობის", ისე სხვა, არანაკლებ ფანტასტიკური, წარმოუდგენელი აღიარებებით (დადასტურებულია, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულ ცოლებს ქმრების წინააღმდეგაც კი მიუციათ ჩვენებები!). სწორედ აქ არის, ალბათ, დრო და ადგილი დავიმოწმოთ ამ წერილის ეპიგრაფად წამძღვარებული, გადაცემის „არჩევანი – თქვენ" დედააზრი: **კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს!.**

არჩევანთან დაკავშირებული მრავალსახა კოლიზიების „ვივისექციისათვის", ვფიქრობ, უპრიანი იქნება ისევ 30-იან წლებს დავუბრუნდეთ, რადგან მაშინ არჩევანის გაკეთება ადამიანებს სწორედაც რომ ძალიან „კრიტიკულ სიტუაციებში" უხდებოდათ. ამჯერად მხოლოდ „დასმენის", „დაბეზღების" ფენომენი განვიხილოთ.

ადამიანმა აღიარა ყველა წაყენებული ბრალდება, მათ შორის წარმოუდგენელიც. ამით მან სიმართლეს უღალატა და, გარკვეულწილად, დანაშაული (მორალური მაინც) ჩაიდინა – თავისი თავი „დაასმინა". მაგრამ განა ვინმეს მოუვა აზრად მას რაიმე ბრალი წაუყენოს, თუკი მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ ვერ გაუძლო წამებას, ან – ამით უსიამოვნებებს აარიდებდა ოჯახის წევრებს; ან ხელს შეუწყობდა აბსურდული სიტუაციის შექმნას (გახსოვთ – „მონანიება"?), რაც საზოგადოებრიობის გამოფხიზლებას გამოიწვევდა და ა. შ. ასეთი არჩევანი სწორედაც რომ არ იყო **ადვილი.** მაგრამ ამის გვერდით იყო უამრავი მაგალითი იმისა, რომ აბეზღებდნენ შურის, შურისძიების, შიშის, უსაფუძვლო იმედის („იქნებ ამით გადავრჩე"!), ანგარების, მაამებლობის მიზეზით, იშვიათად – მიამიტური რწმენის გამოც, მაგრამ, რაც სრულიად წარმოუდგენელია, იყვნენ „მოხალისეებიც"! „ Я читаю реабилитационные дела .... Океан доносов. И писали их не только патентованные стукачи, не только ради получения каких-то благ или в припадке мести. Сколько было энтузиастов! Уверяю вас: страна ужаснется, ежели будут опубликованы списки всех, кто писал доносы – в разной форме, по разным причинам. Среди них можно будет найти такие имена! ..... Эта будет самая настоящая национальная катастрофа!" – ეს არის სიტყვები ადამიანისა, ვისაც დაეჯერება. ყოფილი სსრკ კომუნისტური პარტიის ცკ პოლიტბიუროს წევრი ალექსანდრე იაკოვლევი უკვე ათ წელზე მეტია სათავეში უდგას კომისიას, რომელიც იკვლევს საბჭოურ პოლიტიკურ რეპრესიებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა წყობილება იყო დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ბევრი რამით შეუძლია იაკოვლევს, ალბათ, ამის დასაბუთება.

ჩემის აზრით კი ეს წყობა უპირველესად იმიტომ უნდა იყოს დანაშაულებრივად მიჩნეული, რომ **შეგნებულად** ჰქმნიდა პირობებსა და განწყობას იმისას, რომ წაექეზებინა და გაეღვივებინა ყველაზე ბნელი ზრახვანი და მიწიერი ინსტინქტები უბრალო ადამიანებისა. ამდენად, ამა თუ იმ დასაგმობი ქმედების შეფასებისას, განმსაზღვრელი უნდა იყოს მათი მოტივაცია. აქედან გამომდინარე, **ვინაიდან** ჩვენთვის შემოთავაზებულ სიუჟეტში მინიშნება მოტივაციაზე არ ყოფილა, ძნელია შევიქმნათ სრული წარმოდგენა დანაშაულის სიმძიმეზე. ერთი კი ცხადია, – არანაირი გამართლება არ გააჩნია იმათ საქციელს, ვინც პირადი ინიციატივით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აბეზღებდა ზოგჯერ უცნობ ადამიანებსაც კი. იქნებ ასეთი შემთხვევები იშვიათობა იყო? საუბედუროდ, არა! ხომ გენიშნათ – „Океан доносов"!.

აი, სწორედ ასეთი „მოხალისეებისაგან" აყალიბებდა შინსახკომი, ძირითადად, თავის „უხილავი ფრონტის" მებრძოლთა ლეგიონს, „სექ-სოტ"-ების („секретый сотрудник") არმიას. მაგრამ არა მარტო ამნაირთაგან – მასთან თანამშრომლობაზე დაყოლიების ხერხი და მეთოდი „ჩეკა-ს" ბევრი და მრავალფეროვანი ჰქონდა – დაშინება, შანტაჟი, მუქარა და სხვ. ამდენად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოტივაციას, ანუ **არჩევანის აუცილებლობის** მიზეზს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

საკითხი ლუსტრაციის კანონისა და მისი მიღების მიზანშეწონილობის შესახებ დიდი ხანია აღელვებს ხალხს – ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არავინ არ ხდის საკამათოდ ასეთი კანონის მიღების აუცილებლობას, მაგრამ იმ შეხვედრაზე გამოირკვა, რომ მისი დანიშნულების შესახებ საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები არაერთგვაროვანია. აღმოჩნდა, რომ შესაბამისი კანონპროექტიც კი არის მომზადებული, თუმცა საზოგადოებრიობის ფართო მასებისათვის იგი უცნობია და ესეც იყო იმ შეხვედრაზე დიდი ვნებათაღელვის ერთ-ერთი მიზეზი. „თოკ-შოუს" ფორმატი იმასაც ითვალისწინებს, რომ შემდეგ გადაცემაში ხდება შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამება მოწვეული ექსპერტების მიერ. მე, სამწუხაროდ, ეს გადაცემა ვერ ვნახე, თუმცა უკვე „თოკ-შოუს" მსვლელობისას ჩამომიყალიბდა გარკვეული მოსაზრებანი:

– ლუსტრაციის კანონი აუცილებლად მისაღებია, მაგრამ დიდი სიფრთხილითა და ბევრი სპეციფიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

– გადაცემის მსვლელობისას ბევრი რამ ისეთი ითქვა, რაც აუცილებლად ყურადსაღებია, მაგალითად ის, რომ კანონმა ზიანი არ უნდა მიაყენოს უშიშროების სამსახურის სპეციფიკას, რაც, გარკვეულწილად, ქვეყნის უშიშროებისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს;

– ადვილად შეიძლება შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც გზას გადაუკეტავს ოდიოზურ პიროვნებებს ხელისუფლებისაკენ. თითოეული პიროვნებისათვის ასეთი „ვერდიქტის" გამოტანისას კი **აუცილებლად** უნდა იყოს გათვალისწინებული და შეფასებული მისი ქცევის **მოტივაცია,** რაზედაც ზემოთ გვქონდა უკვე ლაპარაკი;

– ეს კანონი უნდა გახდეს ერთ-ერთი ქვაკუთხედი ქვეყნის სამართლიანობის სისტემისა, რომელიც დაამკვიდრებს ჩვენში პასუხისმგებლობის გარდუვალობას. ეს უკანასკნელი კი უნდა გახდეს ამოსავალი პრინციპი თითოეული ჩვენგანის მიერ **არჩევანის** გაკეთებისას, მით უმეტეს – **კრიტიკულ სიტუაციებში.**

არჩევანი კი მძიმე და სერიოზული გველის, რათა, იაკოვლევის მსგავსად, მერე სატირალი არ გაგვიხდეს: „ И если каяться, то каяться надо всем… За всю нашу ненависть. За всю нетерпимость. За равнодушие".

**ილამაზ მიწიშვილი.**

იუბილე

**არტისტულია ბუნებით. თხრობის მანერა ოდნავ ზეაწეული, შთამბეჭდავი. მეტყველება მკაფიო, დახვეწილი. ინტონაცია მშვიდი, ქართული სიდარბაისლის გამომხატველი და იმავ დროს მკვეთრი, მისთვის პრინციპული პოზიციის ბოლომდე გამტარებელი. ასეთია ქალბატონი ნათელა ურუშაძე აუდიტორიასთან შეხვედრის დროს.** მან ზუსტად იცის რა სათქმელით მოდის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მაყურებელთან, სასცენო ხელოვნების მოღვაწეებთან, კოლეგებთან... ეს შეხვედრები მუდამ საინტერესო, ურთიერთგამამდიდრებელი, ზოგჯერ მწვავე, პოლემიკური ხასიათისა, მაგრამ სასარგებლო, შედეგიანი. მისი საჯარო გამოსვლა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევა ხოლმე, ვინაიდან ქალბატონი ნათელა ფლობს მსმენელზე ზემოქმედების საიდუმლოს. რაში მდგომარეობს იგი? – ეს გახლავთ განსახილველი საკითხის ზედმიწევნით და ფართო ასპექტით შესწავლა, პარალელების ფართო სპექტრი, ისტორიულ-დოკუმენტური და ცხოვრებისეული მაგალითების ურთიერთშეხამება, აუდიტორიასთან იმპროვიზაციული კონტაქტების ბუნებრივი პროცესის ყველა წინაპირობის შექმნა.

ამ კონტაქტს იგი აღწევს როგორც ცოცხალ მსმენელთან ურთიერთობისას, ისე საეთერო გადაცემების დროს. კიდევ ერთი გამორჩეული თვისება ახლავს ქალბატონ ნათელა ურუშაძეს, როგორც მეცნიერს და მოქალაქეს – მუდამ სამართლიანობის მხარეს იხრება, უკომპრომისოა და საკუთარი მრწამსის ერთგული. ამასთან დაკავშირებით ერთ მაგალითს მოვიყვან: 1980-იან წლებში გამომცემლობა „ხელოვნებამ" რუსულ ენაზე დასტამბა ცნობილი მსახიობის თამარ წულუკიძის წიგნი „მხოლოდ ერთი სიცოცხლე". ავტორი იმ პერიოდისთვის მეტად გაბედულად, ფაქტებზე დაყრდნობით მოგვითხრობდა სანდრო ახმეტელისდროინდელი რუსთაველის თეატრის დრამატული და ტრაგიკული პერიპეტიების შესახებ. წიგნმა დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია თეატრალურ წრეებში. ზოგიერთმა მოღვაწემ აშკარად ტენდენციურად გაილაშქრა ავტორის პოზიციის მისამართით და ფაქტების გაყალბებაში, მოვლენების სუბიექტურად გაშუქებაში დასდო ბრალი. წიგნის განხილვა თეატრის მოღვაწეთა კავშირის საქტო დარბაზში გაიმართა. უამრავ გამომსვლელთაგან გამოირჩეოდა ნათელა ურუშაძის ფუნდამენტური, მეცნიერული პოზიციიდან გაანალიზებული დასკვნა, მან თავის ოპონენტებს ყველა გზა მოუჭრა, პირწმინდად გასცა ამომწურავი პასუხი ბუნდოვან და ზოგჯერ აბსურდულ ბრალდებებზე, რითაც დაიცვა არა მხოლოდ ნაშრომის ღირსება, არამედ ყველაზე მთავარი – ჭეშმარიტება!

ნათელა ურუშაძემ მრავალმხრივი გზა განვლო ხელოვნებაში. სასკოლო ასაკიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თეატრს დაუკავშირებდა თავის მომავალს. ასეც მოხდა – საბუთები შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად სამსახიობო ფაკულტეტზე. აქ მან პრაქტიკულად ყველა ის საგანი შეისწავლა, რომელთა საფუძვლიანი ცოდნა შემდეგ ესოდენ ჰარმონიულად შეუხამა მეორე პროფესიას – თეატრმცოდნეობას. სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე იგი სწავლას განაგრძობს მოსკოვის ანატოლი ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1948 წელს. იმავე წლიდან ნათელა ურუშაძე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგია, სადაც მიჰყავს თეატრის ისტორიის კურსი და სათეატრო კრიტიკის სემინარი.

ინსტიტუტში ქალბატონი ნათელა უმალ იხვეჭს ავტორიტეტს როგორც კოლეგებსა, ასევე სტუდენტებს შორის. საგნის ღრმა ანალიზი, მასალის გადმოცემის სადა და ხატოვანი სტილი იზიდავს მსმენელის ყურადღებას, განაწყობს მას თეატრის ისტორიის უკიდეგანო სივრცეში სასიამოვნო მოგზაურობისათვის. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ნათელა ურუშაძე ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობს სამეცნიერო სფეროში. 1968 წელს ბრწყინვალედ იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „ვეფხისტყაოსანი" და ქართული სასცენო ხელოვნება" ნაშრომი, ბევრი მოკვლეული, მეცნიერულად ღირებული მონაპოვრის გარდა, მხატვრული ღირსებებითაც გამოირჩეოდა. საკანდიდატო დისერტაციას სულ მალე მოჰყვა სადოქტორო – „ქართული სათეატრო კრიტიკა 1801-1860 წ.წ." მანამდე უცნობი დოკუმენტური თუ საარქივო მასალები, უამრავი ფაქტი თუ ვერსია, გაშიფრული თუ გაუშიფრავი ავტორები, ქალბატონმა ნათელამ ქრონოლოგიურ-მეცნიერულ ქარგაში მოაქცია და მომავალ თაობებს დაუტოვა იმ პერიოდის ქართული სათეატრო ხელოვნების თეორიული ნააზრევის ვრცელი პანორამა.

სადისერტაციო ნაშრომების გარდა, ნათელა ურუშაძე მრავალი წიგნის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, ალბომის, ბუკლეტის, რეცენზიის, ესეს, ნარკვევის ავტორია. მათი სარეიტინგო ნიშანი ძალიან მაღალია არა მხოლოდ ქართულ თეატრმცოდნეობაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, ვისთვისაც კი ხელმისაწვდომი ყოფილა გაცნობოდა ქართველი კრიტიკოსის ორიგინალურ ხედვას, მოვლენათა შეფასების არაორდინალურ ხერხს, მწერლურ ნიჭიერებას. შესაძლოა თეატრმცოდნე უაღრესად განათლებული, წიგნიერი, თეორიული ცოდნით ზედმიწევნით აღჭურვილი იყოს, მაგრამ თავისი ნააზრევის, განწყობილებისა და პოზიციის ქაღალდზე გადმოტანა ვერ შეძლოს. ამისთვის ღმერთმა წერის ნიჭით უნდა დაგაჯილდოვოს. ქალბატონ ნათელა ურუშაძესთან, მოქმედი კრიტიკოსისათვის აუცილებელი ეს ორი უმთავრესი თვისება ერთ სიბრტყეზე მოიაზრება, ამიტომაც მოიპოვა მან როგორც სპეციალისტთა, ასევე ფართო მკითხველის საყოველთაო აღიარება.

„თეატრი", „ქართული თეატრის ამბავი", „წავიდეთ თეატრში", „ელენე ახვლედიანი თეატრში", „დავით კაკაბაძე თეატრში", „სესილია თაყაიშვილი", „ვერიკო ანჯაფარიძე", „მედეა ჯაფარიძე", „მიხეილ თუმანიშვილი"... ეს მცირედი ნაწილია სათეატრო ბიბლიოთეკის იმ საგანძურიდან, რომელსაც ნათელა ურუშაძის სახელი და გვარი ამშვენებს. სათაურებიდანაც ცხადია თეატრმცოდნის ინტერესთა სფერო, მისი არჩევანის უალტერნატივობა – თეატრის მისიის მაღალი დანიშნულების განზოგადება და მის რჩეულ მსახურთა განუმეორებელი ინდივიდუალობის საიდუმლოს ამოხსნა. რითაა განსაკუთრებით ფასეული ნათელა ურუშაძის თეორიული განსჯანი? იგი ზედმიწევნით კარგად იცნობს საკვლევ ობიექტს. თითქოს რენტგენზე ატარებსო, ყველა კუთხე-კუნჭულს შიფრავს უწვრილმანესი დეტალების ჩათვლით და ეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა ასპექტში, ზოგჯერ მოულოდნელი რაკურსითაც დაგვანახოს საგანი თუ გმირი. ერთი შეხედვით უფერული, მშრალ თარიღებზე აგებული ძველი ქართული თეატრის ამბავი ისეთი დინამიკური სუნთქვითაა გაჯერებული, რომ შეუძლებელია ბოლომდე არ გაჰყვეთ ავტორს და არ დაგაინტერესოთ მრავალჭირგამოვლილი ქართული თეატრის როგორც ტრაგიკულმა ბედმა, ასევე მის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა. წიგნი „წავიდეთ თეატრში" მოზარდი მკითხველისა და მაყურებლისათვის ენციკლოპედიური დანიშნულებისაა. ავტორი ამ შემთხვევაში მეგზურიცაა და მასწავლებელიც. წიგნში დეტალურად და სახიერად არის ახსნილი თეატრის, სასცენო ნაწარმოების, მსახიობის, რეჟისორის, სპექტაკლის უჩინარ მონაწილეთა, მაყურებლის კონკრეტული ფუნქციები, მათი ურთიერთკავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. თხრობის მანერა გამჭვირვალეა, ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებული: „დღევანდელ თეატრს მაყურებლის მოხმობის არაერთი საშუალება აქვს: გაზეთი, საგანგებო ცნობარი, რადიო, ტელევიზია და, რაც მთავარია, აფიშა. ეს სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა და გამოკრულ განცხადებას ნიშნავს. მისი მთავარი დანიშნულება შეტყობინებაა ამა და ამ ადგილას ესა და ეს სანახაობა გაიმართებაო. ვის აცყობინებენ? – ყველას. ამიტომ აფიშას ადრეც და ახლაც ყველგან აკრავენ. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, იქ, სადაც ხალხმრავლობა ივარაუდება". უფრო სადად და გასაგებად, ძნელად თუ ვინმე შეძლებს შეიყვანოს დამწყები მაყურებელი თეატრალური ლაბირინთების იდუმალ სამყაროში.

## მრწამსის ერთგულება

მსახიობის, რეჟისორის, თეატრალური მხატვრის თუ სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისას ნათელა ურუშაძე, თუ იგი მისი თანამედროვეა, პირადად მისი და მისი ოჯახის უახლოესი წევრი ხდება – ყველაფერს სწავლობს, აკვირდება, მისხალ-მისხალ აგროვებს ხასიათის სხვათათვის ამოუცნობ ნიუანსებს და შემდეგ კრიალოსანის მარცვლებივით ერთ მწკრივად აასხამს ხელოვანის პორტრეტის სრულყოფილების მისაღწევად. სრულყოფილების განცდა უთუოდ დაგეუფლებათ, როდესაც გაეცნობით ნათელა ურუშაძის ბრწყინვალე მონოგრაფიებს ვერიკო ანჯაფარიძესა და სესილია თაყაიშვილზე. ახალგაზრდა თაობას, რომელსაც სცენაზე არ უნახავს ეს ორი გენიალური მსახიობი, ნათელა ურუშაძის წარმოსახვითი აღწერილობის წყალობით ზუსტი შთაბეჭდილება შეექმნება მათ აქტიორულ შესაძლებლობებსა და ტალანტზე.

წლების თავდაღმართზე ქალბატონი ნათელა ურუშაძე განსაცვიფრებელ შემოქმედებითს ფორმას ინარჩუნებს. მისი კალამი უჟანგავია, აზროვნება მოქნილი, განწყობილება უწინდებურად ოპტიმისტური, თუმცა ცხოვრებამ სულ ახლახან უმძიმესი ტკივილი არგუნა – გვერდიდან გამოეცალა მეუღლე, ხალხის საყვარელი მსახიობი და დიდებული პიროვნება გიორგი გეგეჭკორი. ძლიერი სულისა და ნების ადამიანებს უფლება არა აქვთ განსაცდელს ქედი მოუხარონ. თქვენს მაგალითზე ამას უფრო ვგრძნობთ, ქალბატონო ნათელა.

სიმხნევე და წელთა სიმრავლე გვისურვებია, თეატრმცოდნეობაში ახალ ზღუდეთა დასალაშქრად!..

**ვაჟა ქიზუა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

ფაქტი

## ამიერიდან — „დინამოს“ პატრონაჟით





29 ოქტომბერი საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ დაბადების დღეა. იგი დედაქალაქის კოლორიტული უბნის 161-ე საშუალო სკოლის ბაზაზე 2000 წელს ქართულ სპორტულ სამყაროში პოპულარული ძმების — ქართლოს და კახა ჭუმბურიძეების ინიციატივით შეიქმნა. ნორჩების დაოსტატებას 10 მწვრთნელი (მათ შორის, 8 ლიცენზირებული) 4 მოედანზე უძღვება, რომელთაგან 3 ხელოვნურსაფარიანია. სკოლის დირექტორია გიგა არევაძე, მთავარი მწვრთნელი — კახა ამირიძე. ის ფაქტი, რომ, ხანმოკლე ბიოგრაფიის მიუხედავად, აქ უკვე 6 წლისა და მეტი ასაკის 400-მდე მოზარდი ეუფლება ტყავის ბურთის საიდუმლოებებს, დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია.

დაბადების მესამე წლისთავზე „საბურთალოს“ ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — ოფიციალურად გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსთან“, რაც შემდგომ სათანადო მხატვრული პროგრამითა და „მეორე ტაიმით“ აღინიშნა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თბილისობა — 2003

## ჭიდაობას რა უნდა...

**დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე ამ დღეებში თბილისობისადმი მიძღვნილი არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა.**

ერთ-ერთია საქართველოს საუკეთესო ფალავნის გამოსავლენი ტრადიციული ასპარეზობა, რომელიც სპორტის სასახლეში მოეწყო. ეს საპატიო წოდება უკვე მეექვსედ (სარეკორდო მაჩვენებელი) მოიპოვა ახმეტელმა ალექსი დავითაშვილმა, რომელსაც ჯილდოდ უცხოური წარმოების მსუბუქი ავტომანქანა გადაეცა.

მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი დაესწრო ამაგდარი სპორტული მოღვაწის, აწ გარდაცვლილი ნუხა გაგოშიძის სახელობის საჭიდაო ტურნირსაც „აკაკის ბაღში“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ალექსი დავითაშვილი.



მოგვერდი.

მხოლოდ შედეგები

## ევროპული საფეხბურთო ჩემპიონატების ტაბლო

იტალია. „მილანი“ –„იუვენტუსი“ 1:1, „უდინეზე“ – „ლაციო“ 1:2.

ესპანეთი. „რეალი“ – „ბილბაო“ 3:0, „მურსია“ – „დეპორტივო“ 0:0, „სელტა“ – „რასინგი“ 0:1.

ინგლისი. „ლიდსი“ – „არსენალი“ 1:4, „ევერტონი“ – „ჩელსი“ 0:1, „მანჩესტერი“ – „პორტსმუთი“ 3:0, „საუთჰემპტონი“ – „სიტი“ 0:2, „მიდლსბრო“ – „ვულვზი“ 2:0, „ნიუკასლი“ – „ასტონ ვილა“ 1:1, „ტოტენჰემი“ – „ბოლტონი“ 0:1.

გერმანია. „შტუტგარტი“ – „ფრაიბურგი“ 4:1, „ვერდერი“ – „აინტრახტი“ 3:1, „კიოლნი“ – „ჰანოვერი“ 1:2, „შალკე“ – „ბაიერნი“ 2:0, „მიუნხენი“ – „ბოხუმი“ 3:1, „გლადბახი“ – „ჰანზა“ 1:1, „ვოლფსბურგი“ – „ჰერტა“ 3:0.

საფრანგეთი. „მონაკო“ – „ლე მანი“ 4:2, „ლიონი“ – „ნიცა“ 5:0, „მეცი“ – „სოშო“ 0:1, „მონპელიე“ – „ნანტი“ 4:1, „ბასტია“ – „აიაჩო“ 1:1, „ბორდო“ – „მარსელი“ 1:0, „ლილი“ – „გენგამი“ 1:3, „რენი“ – „სტრასბური“ 1:1, „ტულუზა“ – „ოსერი“ 0:3.

ჰოლანდია. „აიაქსი“ – „ალკმაარი“ 3:2, „ბრედა“ – „ეინდჰოვენი“ 1:3, „ვიტესი“ – „ვოლენდამი“ 2:2, „როზენდალი“ – „ნაიმეგენი“ 1:0.

ბელგია. „მუსკრონი“ – „ანდერლეხტი“ 0:1, „ლოკერენი“ – „ბრიუგე“ 2:0, „ბეერსხოტი“ – „ვესტერლო“ 0:2, „გენკი“ – „ანტვერპენი“ 3:1, „ლიერსი“ – „გენტი“ 1:1, „სტანდარდი“ – „ბევერენი“ 4:0, „მონსი“ – „სენტ ტრუიდენი“ 3:4.

პორტუგალია. „პორტუ“ – „ნაციონალი“ 1:0, „სპორტინგი“ – „რიუ ავე“ 1:1, „ამადორა“ – „ფერეირა“ 0:1, „გიმარაეში“ – „მარიტიმუ“ 1:1.

შოტლანდია. „კილმარნოკი“ – „სელტიკი“ 0:5, „რეინჯერსი“ – „პარტიკი“ 3:1, „დანდი“ – „ჰიბერნიანი“ 1:1, „აბერდინი“ – „მოზერუელი“ 0:3, „დანფერმლაინი“ – „დანდი იუნაიტედი“ 2:0, „ჰართსი“ – „ლივინგსტონი“ 3:1.

ავსტრია. „რაპიდი“ – „მატერსბურგი“ 3:1, „ადმირა“ – „აუსტრია“ 0:2, „პაშინგი“ – „კარნტენი“ 3:0.

საბერძნეთი. აეკ – პაოკ 3:1, „ჰალკიდონა“ – „პანათინაიკოსი“ 0:0.

თურქეთი. „ბეშიქთაში“ – „გალათასარაი“ 0:0, „დენიზლი“ – „დიარბაქირი“ 1:2, „ისტანბული“ – „ტრაბზონი“ 0:2, „სამსუნი“ – „გენჩლერი“ 2:1, „ანკარა“ – „გაზიანთეფი“ 1:4.

დანია. „მიდტიულანდი“ – „ბრონდბიუ“ 0:2.

ნორვეგია. „რუსენბორგი“ – „ტრომსო“ 0:1.

უკრაინა. „დინამო“ (კიევი) – „ვორსკლა“ 2:1.

რუსეთი. უკანასკნელი ტური. „რუბინი“ – „ცსკა“ 3:2, „სატურნი“ – „ზენიტი“ 1:3, „ლოკომოტივი“ – „ურალანი“ 6:0, „დინამო“ (მოსკოვი) – „ალანია“ 0:0, „როტორი“ – „კრილია“ 1:0, „სპარტაკი“ – „მეტალურგი“ 0:2, „როსტოვი“ – „ტორპედო“ 0:0, „ჩერნომორეცი“ – „შინიკი“ 2:1.

საბოლოო მდგომარეობა: **ცსკა** – 59, **„ზენიტი“** – 56, **„რუბინი“** – 53, „ლოკომოტივი“ – 52 ქულა. უმაღლესი ლიგა დატოვეს **„ურალანმა“** და **„ჩერნომორეცმა“**. მათ ნაცვლად გაისად ითამაშებენ **„ამკარი“** და **„ყუბანი“**.













გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 296, ორშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი.

ფეხბურთის მაკედონელი



# ღვთისა — ღმერთს და კეისრისა — კეისარს!

## „რაც არ იწვის — არ ანათებს!“

**ამას წინათ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მოწყობილი გამოკითხვის შედეგად, გამარჯვებული აღმოჩნდა, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ფეხბურთის ერთ-ერთი კორიფე, სტოპერი მურთაზ ხურცილავა.**

ამ მეტად სასიამოვნო ამბის შეტყობისას, ჩემდა უნებურად, თავში გამიელვა წინარე წერილის სათაურად გამოტანილმა, მაცხოვრის მიერ ფიგურალურად ნათქვამმა სიტყვებმა, მცირეოდენი ჭოჭმანის შემდეგ კი, გადავწყვიტე, ყოველგვარი ციფრებისა და კონკრეტული ფაქტების მოყვანის გარეშე (ამას, ჩემზე ბევრად უკეთ და კვალიფიციურად შეძლებდნენ სტატისტიკის მოყვარულები და ფეხბურთის სპეციალისტები!), ზოგადად, ინდუქციის მეთოდით გადმომეცა ჩემი, როგორც ფეხბურთის რიგითი ქომაგის დამოკიდებულება მომხდართან დაკავშირებით.

ძველთაგან გამიგონია, რომ ცოდვა გამხელილი სჯობს და მეც გულწრფელად გამოვტყდები, რომ იმთავითვე, სიყმაწვილიდან მოყოლებული, დიდი მიხეილ მესხისადმი ჩემი გაუხუნარი ერთგულების მიუხედავად, თავს უფლებას ვერ მივცემ, ერთი წამითაც კი, ეჭვქვეშ დავაყენო ერისა და ბერის ამდღევანდელი არჩევანი და ღირსეული პატივი არ მივაგო ჭეშმარიტ ტრიუმფატორს. ამიტომაც, აქვე და ამ წუთს, აბსოლუტურად გულახდილად ვაცხადებ, რომ მურთაზ ხურცილავა უდავოდ ერთი იმ მოჰიკანთაგანია, რომლის კვალიც, დევის ნაფეხურივით აჩნია XX საუკუნის ქართულ (და, არა მარტო ქართულ!) ფეხბურთს.

ძალზე კარგად მახსოვს, თამაშისას, რეალური სამყაროდან თითქმის განრიდებულ მ. ხურცილავას, მისივე ჯანსაღი ამბიციურობისა და უსაზღვრო მაქსიმალიზმის საშუალებით, მხატვარ-იმპრესიონისტის დარად, იმწუთიერი პირადი განცდებისა და ყოველივეს სუბიექტურად აღქმის ფონზე, დროის მძაფრი დეფიციტის პირობებში, სპონტანურად, როგორ შეეძლო საფეხბურთო ხელოვნების ნამდვილი მიკროშედევრების შექმნა! ასეთ დროს, მისი ყოველი ქმედება იმგვარი ჯავარით იყო ხოლმე შემკული და მაყურებელზე ისეთ შემაძრწუნებელ ეფექტს ახდენდა, რომ გარკვეულწილად ესთეტიკურად ზრდიდა კიდეც მას, მთელი ამ ბატალიების თანამონაწილედ აქცევდა და საბოლოო ჯამში, სალბუნად ეფინებოდა მ. ხურცილავას, ამ სტიქიური ტალანტისა და „ფეხბურთის მაკედონელის“ ურიცხვ თაყვანისმცემელთა გულებს.

ეს, მართლაც, რვალისგან ჩამოსხმული, „უშიში, ვითარცა უხორცო“ მწვანე მინდორზე მგელივით შეუპოვარი და მელიასავით ჭკვიანი, ადამიანი — „პერპეტუუმ-მობილე“, თითოეულ მატჩში სანთელივით რომ იწვოდა და ბოლომდე იღვენთებოდა, რაღაც სასწაულებრივი ძალით აღანთებდა თანაგუნდელებს და უშეღავათო, ტოტალური ბრძოლისადმი განაწყობდა მათ.

ამ შედარებებისა და შეფასებების მართებულობაში მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის შეტანის მიზნით, ერთ ანალოგიას მოვიშველიებ, ხოლო დასკვნის გამოტანა, თავად მკითხველის ობიექტურობისათვის მიმინდვია.

მოგეხსენებათ, რომ ცხოველთა სამყაროში მოქმედი დაუწერელი კოდექსის თანახმად, განსაკუთრებული ძლიერებით, შთამბეჭდავი გარეგნობითა და უცილობელი ავტორიტეტით გამორჩეული პრაიდის წინამძღოლი ლომი თუ როგორ დევნის, ავიწროებს და უმოწყალოდ უსწორდება, მის მიერვე მონიშნულ ტერიტორიაზე, ნებსით თუ უნებლიედ მოხვედრილ ნებისმიერ არსებას.

ახლა კი, წამიერად ჩავფიქრდეთ და გავიხსენოთ, თუ რა გაშმაგებითა და გააფთრებით (ოღონდ, საფეხბურთო წესების ზედმიწევნით ზუსტი დაცვით!) ეკვეთებოდა და დაუნდობლად მუსრავდა ხოლმე. მ. ხურცილავა საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გამოჩენილ „სტუმარს“ (მან სტუმარი, ეტყობა, მარტო სახლში იცოდა!) და ვგონებ, გასაგები გახდება ზემოთ მოყვანილი ეპითეტებისა და მეტაფორების არსებობა (ამგვარ „დავიდარაბაში“ მყოფი მურთაზი ტრიბუნიდან, ფრიდრიხ ნიცშეს „ზეკაცს“ და ქართული ხალხური ეპოსის გმირ წინაპარს უფრო წააგავდა, ვინემ ჩვეულებრივ, მიწაზე მყარად მდგომ ადამიანს). სხვანაირად, უფრო ცხოვრებისეულად თუ ვიტყვი, მ. ხურცილავასთვის, სტადიონის მწვანე გაზონი, სადგურის ან აეროპორტის მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი კი არ იყო, სადაც შეიძლება მოდუნდე და გარკვეულ განცხრომასაც მიეცე, არამედ, კოლიზეისმაგვარი სარბიელი, რომელზედაც, გლადიატორივით შემართულად, პატიოსან ორთაბრძოლაში უნდა შესძლო საკუთარი ღირსებისა თუ ამბიციის დაცვა-დაკმაყოფილება.

ფეხბურთში ყოველივე ახლის მარადიული ძიებით გულანთებული და მუდამჟამს დაკავებული; მეტოქის მზაკვრული სათამაშო სცენარის „ფურცლიდან“ უშეცდომოდ წამკითხველი; ოფლითა და დაგვით ნაალაფარი ბურთის სასურველი ადრესატისათვის დროულად და ზუსტად ჩამბარებელი; პარტნიორის გარანტირებულად დამზღვევი; დაცვითი „რედუტების“ მაორგანიზებელი სტრატეგი და საკუთარი კარის წინ, ნამდვილ ბასტიონად აღმართული; ჰაერში ანუ „მეორე სართულზე“ პაექრობის „ასი“ — აი, მ. ხურცილავა-სტოპერის, არასრული „დოსიე!“ კიდევ ერთი, შესაძლოა, მისი მთავარი კოზირი — ე. წ. „მტრის ზურგში“ რეიდებისას, მარჯვენა ფეხით მოულოდნელად შესრულებული „კილინგ პანჩით“ (ინგლისური ტერმინია, იხმარება კრივში, ნიშნავს „მომაკვდინებელ დარტყმას“ და მას ყველაზე კარგად, ოღონდ ხელით, ჯორჯ ფორმენი ფლობდა) გატანილი გოლები, რომლებითაც მას, არაერთი მეკარისთვის, ზაფხულის ცხელ დღეებში, თავზე ცივი შხაპი ბევრჯერ გადაუსხამს! (მახსოვს, ბოროტი ენები ჭორებს ავრცელებდნენ, რომ მურთაზს, მარჯვენა ფეხში, თითქოს დინამიტი ჰქონდა-ხოლმე ჩამალული და სინამდვილეში, სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი მისი დამანგრეველი დარტყმებისა. ალბათ, ხუმრობდნენ!).



ისე კი, საერთოდ მ. ხურცილავას ნებისმიერი დონის მატჩი, წესისამებრ, მისი პირადი ძლევამოსილების დემონსტრირება იყო და მას ნამდვილ ბენეფიციანტად აქცევდა ხოლმე. ეს კი თავისთავად, მის ირგვლივ, დიდების იმგვარ შარავანდს ქმნიდა და ისეთ საყოველთაო-სახალხო სიყვარულს წარმოშობდა, რომლის მსგავსი ბევრ, საქვეყნოდ ცნობილ ხელოვანს და უდიდეს სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწესაც კი, შეშურდებოდა!

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩემთვის მუდმივ გამოცანად რჩებოდა და რჩება ის, თუ რა ძალებით შეძლო, სამეგრელოს ერთი, ჩვეულებრივი (დღეს კი, უკვე არაჩვეულებრივი და ისტორიული!) სოფლიდან ჩამოყვანილმა და მისი უდიდებულესობის, ნეტარხსენებულ ანდრო ჟორდანიას ძალისხმევით ხელდასხმულმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, თითქმის, პირტიტველა „დიავოლმა“ (ბატონ ა. ჟორდანიას საყვარელი ტერმინი იყო!) სარეკორდოდ მოკლე დროში, უამრავთათვის საოცნებო, ჯერ თბილისის „დინამოს“ სრული „მონოპოლიზება“, შემდგომ კი ლამის „ბლიცკრიგით“ (გერმანული კომპოზიცია და ნიშნავს „ელვისებურ ომს“), სრულიად იმპერიის პირველი ნაკრების „შტურმით“ აღება და მისი მრავალწლიანი „ოკუპირება“?! ან, საიდან აღმოაჩნდა მას ასე მომეტებულად, საფეხბურთო ხელოვნების სუბსტანციაში და მის ურთულეს სიღრმისეულ პლასტებში წვდომის ისეთი უნარი, რომლის წყალობითაც მან, ასევე სწრაფად მოახერხა იმდროინდელი მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო გამოცდილების გათავისება და საკუთარი, უნივერსალური და პრაგმატული სათამაშო მოდელის შექმნა?! ღმერთმანი, ყოველივე ეს, დღემდე ვერ გამიცნობიერებია!

დასასრულ, გამოვთქვამ სრულ რწმენას იმისა, რომ ამ მოკრძალებული, მაგრამ ალალად „ნაცოდვილარი“ ნარკვევის ლეგენდარული გმირი და მინდორზე, მუდამ დაუზარებელი ბატონი მურთაზი, საბოლოოდ, ფარდას ახდის, მის თავბრუდამხვევ საფეხბურთო კარიერასთან დაკავშირებულ, დღემდე ბურუსით მოცულ ყველა „საიდუმლოებას“ და ჩემს „მწველ“ კითხვებზე პასუხების გაცემას, თავისი საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნამდე არ გადადებს.

**რენიკო კუბლაშვილი.**

**ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი. (ქვეყნდება პირველად).**

ძალისმიერი სამჭიდი



# ამაგი დაუფასეს

უკვე გაუწყეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ედისონში ქართველმა ძალისმიერი სამჭიდის ათლეტებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს. პაუერლიფტინგში, როგორც ძალისმიერ სამჭიდს ამერიკასა და საერთაშორისო ათლეტიზმის წრეებში უწოდებენ, სამი სახეობაა (ჩაჯდომა, ამოქაჩვა და წოლჭიმი). ჩვენმა სპორტსმენებმა 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ამერიკელთა შემდეგ გუნდური მეორე ადგილი, პირად პირველობაში კი 4 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატში 14 ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ.

ტრადიციისამებრ, ქართველი ათლეტები დიდი წარმატებით გამოდიან წოლჭიმში. ამ სახეობაში ოქროს მედლები დაიმსახურეს ბორის სარალიძემ (90 კგ), სოსო ხარაბაძემ (100 კგ) და ვეფხია ჯმუხაძემ (110 კგ), სენიორთა შორის გაიმარჯვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, პროფესორმა ზურაბ ჭავჭანიძემ (125 კგ). ვერცხლის მედალი გია ჯმუხაძეს (125 კგ) ხვდა.

ალბათ, ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დახმარება — უშუალოდ მინისტრის ვალერი ხაბურძანიას, მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი ალასანიას, დეპარტამენტის უფროსის გელა სულაძის, მისი მოადგილის ნუგზარ სუჯაშვილის და სამმართველოს უფროსის ტარიელ შარვაშიძის ძალისხმევა.

უშიშროების სამინისტრომ და მისმა თავკაცებმა მოახერხეს ამერიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი ათლეტების მივლენა და ამაგიც დაუფასდათ. ოქროს მედალოსნებიდან გასაოცარია 52 წლის სოსო ხარაბაძის გამარჯვება ძირითად ტურნირში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხუთივე ათლეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარდაფში ერთ მომცრო დარბაზში გამოიწრთო, სადაც ძალოსნური სპორტის ტრადიციებს ჭედდა ცნობილი სპორტსმენი და მოღვაწე კოტე ზაუტაშვილი.

**ბესიკ გაბრიაძე.**

**სურათზე: ძალისმიერი სამჭიდის ათლეტები უშიშროების მინისტრთან ერთად.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უკვდავება

## ქველმოქმედების სახელობისა

სახელოვანი მამულიშვილის, ცნობილი მეცენატის დავით სარაჯიშვილის თასის გათამაშებას (მთავარი მსაჯი – თემურ დოლიძე) სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“ მასპინძლობდა. სარბიელზე გამოსულთაგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც საერთაშორისო შეხვედრებში იასპარეზებს.

გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს: III **ადგილისთვის:** „ნიკალა“ – „ჯი-ვი-ესი“ 10:4. **ფინალი:** სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და „ენისელი“ – „ბაგრატიონი 1882“ 5:2. მემორიალის პირველ გამარჯვებულს საპატიო თასი ლეგენდარულმა მეკარემ სერგო კოტრიკაძემ გადასცა.

დავძენთ, რომ ფეხბურთის გარდა, ანალოგიური ტურნირები სპორტის სხვა სახეობებშიც გაიმართება.

**სურათებზე: სერგო კოტრიკაძე საპატიო თასს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს; ფინალური ორთაბრძოლის მომენტები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**








ფეხბურთი

# მეტოქის არა, მაგრამ ყინვისა კი ეშინია

**რაიან გიგზი (რომლის ნამდვილი გვარია უილსონი), ექსპერტების აზრით, იმ მეტად მცირერიცხოვანი ფეხბურთელების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც, სხვების დაუხმარებლად, გნებავთ მარტოდმარტო, შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა.**

რაიან გიგზი დაიბადა 1973 წლის 29 ნოემბერს ქ. კარდიფში (უელსი). სიმაღლე 180 სმ, წონა 68 კგ. სამი საფეხბურთო მეტსახელი: „მეორე ბესტი“, „წითელი ეშმაკი“, „უელსელი ჯადოქარი“. ითვლება დრიბლინგის ჭეშმარიტ დიდოსტატად, ინგლისის ლიგაში ამ თვალსაზრისით ბადალი არა ჰყავს.

პატარაობიდანვე ვარჯიშობდა „მანჩესტერ სიტის“ მოსამზადებელ ცენტრში. დღეს, როცა ფეხბურთელები ერთი კლუბიდან მეორეში გაუთავებლად გადად-გადმოდიან უკეთესი ხელფასის მიღების მიზნით, გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთგული დარჩა, კლუბისა, სადაც 1990 წლის დეკემბრიდან თამაშობს. იგი თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ჩემპიონატში კლუბში 350 მატჩი გამართა (82 გოლი), 39 მატჩი (9 გოლი) ინგლისის თასზე, 21 მატჩი (6 გოლი) ინგლისის ლიგის თასზე, 92 შეხვედრა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, სადაც 22 გოლი გაიტანა.

გიგზი პირქუში და უმკაცრესი ალექს ფერგიუსონის საყვარელი ფეხბურთელია. შოტლანდიელი სპეციალისტი ყოველი წაგებული (და არა მარტო მხოლოდ წაგებული) მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებს კარგად გამოლანძღავს ხოლმე (ხომ გახსოვთ, როგორ მიახალა სახეში ჭუჭყიანი ბუცი დევიდ ბექჰემს, რომელსაც შემდეგ მკურნალობაც კი მოუხდა), მაგრამ გიგზისათვის სულსაც კი არ იშურებს. როგორც თვით ფეხბურთელი იგონებს, იგი 14 წლის იყო და „მანჩესტერ სიტის“ მოსამზადებელ ცენტრში ვარჯიშობდა, როცა ფერგიუსონი თვითონ მივიდა მასთან ბინაზე და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა შესთავაზა. ასეთია ამ მეგობრობისა და ერთგულების ხანგრძლივი ისტორია. „მე მაშინ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დავიწყე სიარული, სტადიონ „ოლდ ტრაფორდზე“, რომელიც ასე ეჯავრებათ „მანჩესტერ სიტის“ გულშემატკივრებს. საინტერესოა, რომ თავისი პირველი კალენდარული მაჩტი ინგლისის უმაღლეს ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში გიგზმა სწორედ „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ ითამაშა. ბედის ირონიაც ამას ჰქვია! ამასთან, გიგზმა ერთადერთი გოლიც გაიტანა.

კარიერის დასაწყისში ბრაიანმა, რომელსაც ჯორჯ ბესტს ადარებდნენ, ზედიზედ ორჯერ მიიღო „ინგლისის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის“ წოდება. თანდათან იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა, მტკიცედ დაიკავა ადგილი ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე (მთელ რიგ მატჩებში, ფაქტობრივად, თავდამსხმელის როლის შესრულებაც უხდებოდა). თავისი არაორდინარული ილეთებით და ცრუ მოძრაობით „უელსულ ჯადოქარს“ შეუძლია ნებისმიერ მცველს აურიოს თავგზა. მას შემდეგ, რაც დევიდ ბექჰემი „თავიდან მოიცილა“ (თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად შესაფერია ეს გამოთქმა), ფერგიუსონმა გიგზს დაავალა სტანდარტულ სიტუაციებში თავისი ოსტატობის გამოვლენა, საჯარიმო და კუთხური დარტყმების შესრულება. რაც შეეხება ფრთიდან გარღვევას, რომელსაც უელსელი დიდი სისწრაფით ასრულებს, ამას ხომ ყველა მეტოქე უფრთხის. გარდა ამისა, გიგზს გადამწყვეტი გოლების გატანის უნარიც აქვს. 1999 წელს მან ინდივიდუალური გარღვევის შედეგად ინგლისის თასის ნახევარფინალში „არსენალის“ კარში ბურთი მოათავსა და „ემ-იუ“ ფინალში გაიყვანა, მომდევნო სეზონებშიც დიდი წარმატებით თამაშობდა. 1999-2000 წლების სეზონში შეიქმნა „მანჩესტერ იუნაიტედის“ საინტერესო ჰიმნი, სადაც გიგზის სახელიც არის მოხსენიებული. მტრებმა, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, დაიწყეს ხმების გავრცელება, თითქოს იგი მილანის „ინტერში“ გადადიოდა. მიზანი, ცხადია, ერთი იყო – გიგზს გულშემატკივრებს შორის სახელი უნდა გასტეხოდა. არაფერი გამოუვიდათ – „ახალი ბესტი“ კვლავ სტაბილურად თამაშობდა და იგი რომ არა, რუდ ვან ნისტელროი ამდენ გოლს ვერ გაიტანდა.

ნაკლი, ცხადია, ყველა ფეხბურთელს აქვს. გიგზის ნაკლი კი მეტად სერიოზულია, იგი ხშირად ღებულობს ტრავმებს და, ასე გასინჯეთ, ჯერ ერთი სეზონიც კი სრულად არ უთამაშია. მართალია, 2002-03 წლების სეზოში ამ მხრივ ბედმა თითქოს გაუღიმა და „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ ჩემპიონი გახდა.

უელსის ნაკრებში გიგზი 1991 წლიდან თამაშობს (40 მატჩი, 8 გოლი). საინტერესოა, რომ როცა ამ ნაკრების შემადგენლობაში პირველად გამოვიდა, 17 წლის და 321 დღისა იყო. ჩინებულად თამაშობდა ევროპის ჩემპიონატის მეცხრე შესარჩევი ჯგუფის მატჩებში და დიდი წვლილი შეიტანა ნაკრების წარმატებაში.

მოახლოვდა რუსეთისა და უელსის ნაკრებების გადამწყვეტი შეხვედრები ევროპის ჩემპიონატის საგზურისათვის. პირველი მატჩი 15 ნოემბრისათვის მოსკოვში არის დანიშნული. როგორც ლონდონის გაზეთი „სანი“ იუწყება, გიგზს რუსული ყინვისა ეშინია.

„– მე წილისყრის შემდეგ პარტნიორები გავაფრთხილე, რომ ნოემბერში რუსეთში ძალიან ცივა. უკანასკნელად მოსკოვში 9 წლის წინათ ვითამაშე უეფას თასზე და მაშინაც ძლიერი ყინვა იყო. თუ ახლაც ასე იქნება, მაშინ ამ პირველი მატჩის შედეგის გამოცნობა ძნელი იქნება. ორთაბრძოლა ლატარეად იქცევა, ყინვა კი რუს ფეხბურთელებს აძლევს ხელს“.

აქვე ვთქვათ, რომ საპასუხო შეხვედრა ოთხშაბათს, 19 ნოემბერს კარდიფში გაიმართება.



**გივი გამრეკელი.**

პროფესიონალი

# ატლანტიდან თსუ-მდე

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა წლევანდელი წარმატებები გარკვეულწილად გუნდის მასაჟისტის პაატა კოტორაშვილის დამსახურებაც არის.**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა პროფესიული ნათლობა ატლანტის ოლიმპიადაზე მიიღო, სადაც საქართველოს დელეგაციაში სრულიად ახალგაზრდა შეიყვანეს. არც შემცდარან – მისი კვალიფიციური რჩევები არაერთ ჩვენს თანამემამულეს გამოადგა მაშინ.

ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტ კალათბურთელებს იგი ახლობლის რჩევით დაუკავშირდა. ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის ლაზარეთს ასეთი სპეციალისტის ძალისხმევით პაციენტთა მუდმივი დეფიციტი ექნება.

P.S. **გულშემატკივრები დღესაც დიდი პატივისცემით იხსენებენ ბრაზილიის ფეხბურთელთა ლეგენდარული ნაკრების მასაჟისტს ამერიგოს (1958-1970 წ. წ.). ეს ისე, ცნობისათვის.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



ჭადრაკი

### ანანდის მოულოდნელი გასტროლი

**სად მოსკოვის ოლქის გუნდური პირველობა ქალაქებსა და რაიონებს შორის ელვისებურ ჭადრაკში და ვინ – მსოფლიოს № 3 მოჭადრაკე ინდოელი ვიშვანათან ანანდი!** ამასთან, რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ახალ პრეზიდენტს ალექსანდრ ჟუკოვს აზრად მოუვიდა ამ შეჯიბრებაში ინდოელის მოწვევა, რომელიც ბლიცის დიდი მოყვარულია, ანანდსაც უარი არ უთქვამს.

შეჯიბრებაში, რომელიც მოსკოვში მოჭადრაკეთა ცენტრალურ სახლში გაიმართა, 16 გუნდი მონაწილეობდა, პირველ ადგილზე სერგიევ პოსადის (ყოფილი ქ. ზაგორსკი) გუნდი გამოვიდა, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ ვაშვანათან ანანდი, ჩვენი მოსკოველი თანამემამულე მიხეილ ქობალია, დიდოსტატი სერგეი სმაგინი და ოსტატობის კანდიდატი ბორის რაზოვი, გუნდმა ჯილდოს სახით 1000 დოლარი მიიღო, ანანდმა კი არაოფიციალური ცნობით, 50 000 დოლარი!

### პირველი პოლგარია, კარპოვი კი უკანასკნელი

**ჰოლანდიის ქალაქ ჰოოგოვენში დასრულდა ტრადიციული ორწლიანი საერთაშორისო ტურნირი 4 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით.**

6 შესაძლებლიდან 4 ქულით პირველ ადგილზე დაუმარცხებლად გამოვიდა იუდით პოლგარი (უნგრეთი), 3-3 ქულა მოაგროვეს ივან სოკოლოვმა (ბოსნიელი, რომელიც ჰოლანდიის სახელით გამოდის) და სომეხმა ლევონ არონიანმა (იგი ახლა გერმანიის წარმომადგენელი გახდა). 2 ქულით დაასრულა შეჯიბრება მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა (რუსეთი), რომელმაც ერთი პარტია წააგო პოლგართან, მეორე კი ყაიმით დაასრულა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 296, ორშაბათი, 3 ნოემბერი, 2003 წელი.

## აქეთურ-იქითური



### ფიგუ მალე დაამთავრებს კარიერას

**როგორც გამოჩენილმა პორტუგალიელმა ოსტატმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, იგი მალე აპირებს თავისი კარიერის დამთავრებას. უკანასკნელი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც იგი ითამაშებს, იქნება ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი, რომელიც მის სამშობლოში იმართება.**

— მადრიდის „რეალთან" კონტრაქტი 2006 წელს მისრულდება. ამიტომ ვეჭვობ, ველარ ამისრულდება ოცნება, რომ ვითამაშო ინგლისის ჩემპიონატში.

როგორც ფიგუმ განაცხადა, შეიძლება კარიერა ლისაბონის „სპორტინგში" დაასრულოს, კლუბში, სადაც ოდესღაც ფეხი აიდგა. 4 ნოემბერს ფიგუ 31 წლის ხდება.

### ერთი წელი დაუმატეს

**ყატარში გამართულმა ფიფას კონგრესმა ერთი საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო: ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს უფლებამოსილება 2007 წლამდე გაუგრძელდა.** ეს ანონიმური ხმის მიცემის შედეგად გახდა ცნობილი. ამრიგად, ერთმანეთისაგან გამოაცალკევეს პრეზიდენტის არჩევნები და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2005 წელს გაიმართება აშშ-ს ან აზიის სტადიონებზე.

### დაუმს თურქეთის მოქალაქეობა სურს

**ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა განაცხადა, რომ აპირებს თურქეთის მოქალაქეობის მიღებას. ამას თურქულ გაზეთ „ჰურიეტზე" დამოწმებით იუწყება შვეიცარიული „ბლიკი".**

თავის დროზე დაუმი წარმატებით მუშაობდა „კიოლნსა" და „ბაიერში" (ლევერკუზენი), ეროვნული ნაკრების მწვრთნელობასაც უპირებდნენ, მაგრამ ყველაფერი დაღუპა მისმა მიდრეკილებამ ნარკოტიკებისადმი, რომლის გამოც ეს ცნობილი სპეციალისტი გერმანიას განერიდა.

— მინდა, თურქეთის ჰიმნის შესრულების სრული უფლება მქონდეს და ამ ქვეყნის პასპორტიც მოვიპოვო, ენაც ვისწავლო და გაზეთებიც წავიკითხო.

ახლა დაუმი სტამბოლის „ფენერბახჩეს" წვრთნის.

### ხორვატი მწვრთნელის ხელმძღვანელობით

**ხორვატმა მწვრთნელმა ბრანკო ივანკოვიჩმა არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო მუშაობა ირანის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელად, მაგრამ უკვე იზეიმა პირველი დიდი წარმატება.** ირანის ნაკრებმა მოიპოვა აზია-ოკეანიის თასი, მას შემდეგ, რაც ფინალში სძლია ახალზელანდიელებს ანგარიშით 5:0. მატჩის გმირი გახდა მეხდი მახდავიკია, რომელიც „ჰამბურგერ შპორტფერაინში" თამაშობს.

### ვნახოთ, ვინ რომელ „კალათაში" აღმოჩნდა

**ფიფამ გაფანტა მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ჯგუფების მონაწილეები 6 კალათაში. რაც შეეხება თვით ამ ნაკრებების წილისყრას, იგი, როგორც ცნობილია, დეკემბერში გერმანიაში გაიმართება.**

აი, ეს „კალათებიც":

1. საფრანგეთი, პორტუგალია, შვედეთი, ჩეხეთი, ინგლისი, ესპანეთი, იტალია, თურქეთი.

2. ჰოლანდია, რუსეთი, ხორვატია, ბელგია, დანია, ირლანდია, ბულგარეთი, სლოვენია.

3. პოლონეთი, რუმინეთი, შოტლანდია, სერბეთი და ჩერნოგორია, შვეიცარია, საბერძნეთი, უკრაინა, სლოვაკია.

4. ავსტრია, ისლანდია, ფინეთი, ნორვეგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ისრაელი, ლატვია, უელსი.

5. უნგრეთი, საქართველო, ბელორუსია, კვიპროსი, ესტონეთი, ჩრდ. ირლანდია, ლიტვა, მაკედონია.

6. ალბანეთი, სომხეთი, მოლდავეთი, აზერბაიჯანი, ფარერის კუნძულები, მალტა, ლიჰტენშტაინი, სანმარინო, ლუქსემბურგი, ანდორა, ყაზახეთი.



### იცოცხლეთ, მუქარა ეხერხებათ

**როგორც ჰოლანდიის ფეხბურთის** ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი დაუყოვნებლივ დატოვებს თავის თანამდებობას, თუკი ჰოლანდიელებმა ევროპის პირველობის საგზურისათვის ბრძოლაში ვერ შეძლეს შოტლანდიელების გზიდან ჩამოცილება. ხელმძღვანელობა თვლის, რომ შესარჩევ ჯგუფში ჰოლანდიის ნაკრები არც ისე დამაჯერებლად თამაშობდა.

### რატომ?

**რომის გაზეთ „ილ მესაჯეროს" („მაცნე") მიერ გამართული გამოკითხვის თანახმად, იტალიაში ფეხბურთისადმი ინტერესი საგრძნობლად დაეცა.**

ახლა ყოველ მეორე იტალიელს ფეხბურთი არ აინტერესებს, მაშინ, როდესაც ასეთების პროცენტი შარშან 34 იყო. ინტერესი ძირითადად ქალებსა და 45 წელზე უხნეს მამაკაცებს გაუქრათ, ამის მიზეზი კი სტადიონზე ხულიგნობების აშკარა ზრდაა.

### მალდინი დაბრუნებას არ აპირებს

**პაოლო მალდინიმ უარით უპასუხა იტალიის ნაკრების ხელმძღვანელს ჯოვანი ტრაპატონის, დაბრუნებოდა მის გუნდს.**

როგორც ცნობილია, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განთქმულმა მცველმა (126 მატჩი და 6 გოლი ნაკრებში) განაცხადა, რომ ასაკის გამო ამიერიდან მხოლოდ „მილანში" გააგრძელებს თამაშს. ტრაპატონი თვალ-ყურს ადევნებს მის სათამაშო მზადყოფნას, ამიტომაც თხოვა ნაკრებში დაბრუნება, მაგრამ 35 წლის მალდინიმ აღარ გადათქვა სიტყვა.

### სკოლარის ყველა ეპატიჟება

**ლუის ფელიპე სკოლარის, რომელმაც 2002 წელს ბრაზილიის ნაკრებს ოქროს მედლები მოუპოვა, ახლა კი პორტუგალიის ნაკრებს ევროპის პირველობისათვის ამზადებს, შეიძლება ითქვას, ყოველი მხრიდან ეპატიჟებიან.** როგორც ბრაზილიური გამოცემა „ჟორნალ და ტარდე" იუწყება, სწორედ სკოლარის თვლიან მთავარ კანდიდატად „ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე, სადაც მდგომარეობა ვერავინ გამოასწორა. თვით სკოლარიმ კი განაცხადა, რომ მან მიიღო მიწვევა ესპანეთიდან, ინგლისსა და იტალიიდან.

### „რონალდინიოს არ ვათამამებთ"

**როგორც „ბარსელონას" მმართველობის წარმომადგენელმა გაზეთ „აცის" კორესპონდენტს განუცხადა, ტყუილად ავრცელებენ ხმებს, რომ კლუბი რონალდინიოს ათამამებს და ყველაზე მეტ გასამარჯელოს უხდის.** ამის დასამტკიცებლად მან მოიყვანა ასეთი მაჩვენებლები: ყველაზე მეტს „ბარსელონაში" იღებს კლუივერტი 10,5 მილიონ ევროს წელიწადში, შემდეგ მოდის ლუის ენრიკე (5,66 მლნ.), პუიოლი (5,3 მლნ.) და, ამას გარდა, სპეციალური ხელშეკრულებით, 24 ათას ევროს თითოეულ თამაშში. რაც შეეხება რონალდინიოს, მისი წლიური შემოსავალი 4 მილიონ ევროზე ოდნავ ნაკლებია.



## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ნიჭი ყველგან ფასობს

თავისუფალი სტილით მოჭიდავე **რამაზ აზარიაშვილი** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში 2002 წლის დასაწყისში გამოჩნდა. მისი მიზანი სრულყოფილი ძალისმიერი მომზადების კურსის გავლა იყო. რამაზი ათლეტიზმს იყენებდა, როგორც დამხმარე საშუალებას ფიზიკური ღონისა და ძალისმიერი გამძლეობის განსავითარებლად, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იგი ისე გაიტაცა „ახალმა ხილმა", რომ ჭიდაობას თავი დაანება და მთელი თავისი დრო და ენერგია ათლეტიზმს დაუთმო. შედეგიც სახეზეა — პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ადვილად აუღო ალღო მისთვის ახალი სახეობის სპეციფიურობას და ცნობილი მწვრთნელის ნუგზარ დავითურის ხელმძღვანელობით მზად არის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად.

გთავაზობთ მხრის ორთავა (ბიცეპსები) და სამთავა (ტრიცეპსები) კუნთების ვარჯიშს რამაზ აზარიაშვილის შესრულებით.

**1. ბიცეპსების ვარჯიში დახრილ დაფაზე იდაყვების დაყრდნობით** (სურ. 1, 2). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. თითოეული ბიცეპსის ვარჯიში ჰანტელით ხელების მონაცვლეობით** (სურ. 3). თითოეული ხელისათვის სრულდება 4-4 მისვლა 12-12 გამეორებით.

**3. ტრიცეპსების ვარჯიში — ფრანგული აჭიმვა** (სურ. 4). შტანგა დაუშვით შუბლთან შეხებამდე, შემდეგ აჭიმეთ. სრულდება 4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**ზურაბ ქავჟანიძე.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.


1


2


3


4

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

პოლემიკა

# ფანტასმაგორია? — კი ბატონო, მაგრამ ვისი და როგორი?..

ვისაც გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული ჩვენი წერილი ახსოვს **„გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოს მომავალი“** – („სრ“, 30.VI, 2003 წ.), იქ საკითხი ერთადერთი კუთხით არის გააზრებული, რაც სათაურშივეა ხაზგასმული და თვით რუბრიკის სახელდებითაც **(„ისტორიის ფილოსოფია“)**, რომელსაც ჩვენ, ქართული პოლიტოლოგიის არსად მივიჩნევთ. ეს იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოს ამოსავალი პრინციპები პირველ რიგში, **საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური გააზრებით უნდა იქნას მოძიებული,** რათა ხალხმა და ქვეყანამ თავი დააღწიოს **„რუსეთუმეთა თუთიყუშური უცხო ბაძის ტყვეობას“** (ილია) და დაუბრუნდეს „ძნელბედობით“ დაკარგულ განვითარების თავის ბუნებრივ-ისტორიულ გზას.

აი, საკითხის ჩვენეული დაყენება და ვისაც არ ეზარება ამ ჩვენი წერილის წაკითხვა, ის უთუოდ დაგვეთანხმება ამაში. სხვანაირად, მეცნიერებასაც რომ თავი დავანებოთ, კაცმა ლუარსაბივით უბრალო ადამიანურ ლოგიკაზეც ხელი უნდა აიღოს. მაგრამ კაცია და გუნება, – პროფესორი ნოდარ კიკვაძე ასე არ ფიქრობს და ამიტომაც, არც საკითხის ასეთ დაყენებას ეთანხმება („ფანტასმაგორია ქვეყნის გადასარჩენად?“, „სრ“, I/IX, 2003). მეტიც, რაღაც **გასარჟების ხასიათზე დაუყენებია ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებისაკენ, „ძნელბედობით“დაკარგული ეროვნული ფესვებისა და მემკვიდრეობისკენ შემობრუნების ჩვენს მოთხოვნას,** რისი ერთ-ერთი საშუალება ჩვენი აზრით, კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილებაზე გადასვლაა. ეს პრობლემა კი, ვფიქრობთ, გასარჟების ხასიათზე არ უნდა აყენებდეს ქვეყნის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებულ კაცს...

მკითხველს კვლავ გავახსენებთ, რომ ამ პრობლემას **საკითხის დაყენების წესით ვსვამთ.** ეს ჩვენ რამდენიმე ადგილას გვაქვს ხაზგასმული და მოველოდით, რომ ჩვენი ოპონენტი, რომელსაც ჩვენ ასევე გულწრფელად პატივს ვცემთ როგორც ჩვენს ყოფილ მასწავლებელს და უფროს კოლეგას, სწორედ საკითხის არსის – ე. ი. **ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის შესაძლო ფორმის მიმართ გამოთქვამდა თავის დამოკიდებულებას.**

ჩვენ, რა თქმა უნდა, სათანადოდ მივუზღავთ ბატონ ნოდარის ღრმა და ვრცელ ისტორიულ წიაღსვლებს ინგლისის, ევროპისა და მსოფლიოს ისტორიიდან ძველი ბაბილონიდან დღევანდელ ამერიკამდე, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღეს ისეთ ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ამეების გარკვევა არავისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს. პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა არის **ქართული სახელმწიფოს ყველაზე ოპტიმალური ფორმა** უახლესი, თუ შორეული მომავლისთვის. ამაზე დიდი პრობლემა კი, ჩვენ სხვისი არ ვიცით და პირადად ჩვენ არ გვეგულება...

**ის. მე-12 გვ.**

ნარკომანიის ისტორიიდან

# კაცობრიობის ჭირი

**ნარკომანია – ეს არის მკვეთრად გამოხატული ავადმყოფური ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი, რომლებიც უპირატესად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ნარკოტიკული ნივთიერებები ანადგურებს ადამიანის ჯანმრთელობას, ინგრევა სასიცოცხლო ორგანოები, ქვეითდება მეხსიერება, იწყება სქესობრივი უძლურება, თმების გაცვენა, კანის გამოფიტვა, გახმობა, დანაოჯება. ირღვევა ორგანიზმი, მასთან ერთად პიროვნებაც.**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების გამოყენების შესახებ უძველესი ცნობები შემონახულია პლინიუსის, ჰომეროსის, თეოფრასტის, დიოსკორიდის, პლუტარქესა და სხვათა თხზულებებში. ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღება (ბალახების, ფოთლების, ბუჩქების დაწვა და კვამლის შესუნთქვა ან ფხვნილის სმა) იწვევდა ბოდვას, ზმანებებს, ჰალუცინაციებს, ღრმა ძილს. ასეთი ძალა ჰქონდა პლუტარქეს მიერ აღწერილ ბალახს, რომელსაც თრაკიელები იყენებდნენ. ჰეროდოტეს ცნობით, სკვითები ეტანებოდნენ კანაფის თესლს. იგი მიღებული იყო აფრიკაში (კონგოსა და გვინეაში). მანგბატუში (აფრიკა) ღეჭავდნენ კოლას კაკალს. პრერიის ინდიელები კაქტუს პეიოტლისაგან ამზადებდნენ მეტად საშიშ ნარკოტიკს. პერუსა და მექსიკაში იყენებდნენ სიმინდის ალაოსაგან დამზადებულ ლუდის მსგავს სასმელს. ჩიჩას, რომელსაც ნარკოტიკულ ბალახებს უმატებდნენ. ამ სასმელს „სორა“ ეწოდებოდა. მისი მიღება შეეძლოთ მეომრებსა და წარჩინებულთ (ფრ. რატცელი). პერუში ცნობილი იყო ასევე ნარკოტიკული სასმელი „ტონიკა“, ყველაზე მეტად კი კოკა. პერუელებს კოკის მღეჭველებს ეძახდნენ (ე. პეპინგი). მექსიკელი ქურუმები ხმარობდნენ ოლოლიუკის თესლს. ომაგვას ტომი (მდ. ამაზონზე) იყენებდა მცენარის ფხვნილს „კურუპას“, რომელსაც ლერწმის მეშვეობით შეისუნთქავდნენ. ნარკოტიკული ფხვნილის ლერწმის ღეროებით შესუნთქვა ამერიკელ ინდიელებში დამოწმებულია ქრისტეფორე კოლუმბის მიერ. ამ ფხვნილს „კოგობი“ ეწოდებოდა. ახალი გვინეის აბორიგენები იყენებდნენ შხამა სოკოს – „ნანდის“, შხამა სოკოზე დაყენებული სასმელით თავს იწამლავდნენ კამჩატკელები. გაიდაკები სვამდნენ ყაყაჩოსმაგვარი მცენარის წვენს, ინდიელი ზუნები ეწეოდნენ ტოლაჩლის, ანუ ჯემსტაუნის თესლისაგან დამზადებულ ნარკოტიკს. ინდუსებში გავრცელებული იყო ამგზნები საშუალება სომი, სპარსელებში – ჰაომი, ავსტრალიელები პიტჩერის ფხვნილს სიგარის მსგავსად ფოთლებში ახვევდნენ და ღეჭავდნენ. იგი ტომებს შორის გაცვლის საგანი იყო. ქალაქ მადრასის (ინდოეთი) მცხოვრებნი ღეჭავდნენ ფანის ფოთლებს, რომელიც ტუჩებს სისხლისფრად ღებავდა (რაფიელ დანიბეგაშვილი). წითლად ღებავდა ტუჩებს ნარკოტიკული მცენარის ბეტელი. ბეტელი, ანუ არეკის კაკალი (პალმის ჯიში) ფართოდ იყო გავრცელებული ინდოეთიდან ახალ გვინეამდე. მას კირში ურევდნენ და წიწაკის ფოთლებში ახვევდნენ. ბოტოკებს (აფრიკა) ძალზედ უყვარდათ მოტოკუანესი, რომელიც მტანჯველ ხველებას იწვევდა. მას ეწეოდნენ ბრძოლის წინ (დ. ლივინგსტონი).

ადამიანის ორგანიზმზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენს ოპიუმი (ბერძნულად – ყაყაჩოს წვენი). იგი ინდოეთიდან გავრცელდა. მარკო პოლოს დროიდან ოპიუმს „სამოთხის გასაღებს“ უწოდებდნენ.

საუკუნეთა განმავლობაში ნარკოტიკები ავანტიურისტების გამდიდრების წყაროდ იქცა. ინდოეთიდან და ჩინეთიდან დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ ოპიუმს ინგლისელები. 1890-1891 წლებში ბრიტანეთ-ინდოეთის კომპანიას ამ ნარკოტიკით დაახლოებით 75 მილიონი მანეთი შემოსავალი მიუღია. ოპიუმი გახდა საბაბი ინგლისსა და ჩინეთს შორის გაჩაღებული ე. წ. პირველი (1840-1842) და მეორე (1856-1860) „ოპიუმის ომებისა“. ომი დაიწყო მას შემდეგ, რაც 1839 წელს ჩინეთის მთავრობის კომისარმა ლინ ძესიუმ ოპიუმის დიდი მარაგი გაანადგურა.



ოპიუმი ძალზე მოედო არაბულ ქვეყნებს, სპარსეთს, თურქეთს და სხვ. სპარსეთში მას თერიაკს ეძახდნენ. ჩვენში კი იწოდებოდა როგორც თრიაქი. სპარსეთში თრიაქის მავნე როლი ქვეყანაში აღწერილი აქვს ამბაკო ჭელიძეს წიგნში: „ექვსი წელი სპარსეთში“. იგი ერთ ადგილას აღნიშნავს: „ამბობენ, თრიაქით გაჟღენთილ ადამიანზე გველის შხამი აღარ მოქმედებსო. პირიქით, თუ გველმა ასეთი ადამიანი დაკბინა, კაცის სხეულისაგან თვით გველი მოიწამლებაო“.

ჩინეთსა და ინდოეთში ოპიუმს ლითონის ჩიბუხებით ეწეოდნენ, თურქები, არაბები და სპარსელები კი ჭამდნენ და ღეჭავდნენ აბის სახით (აბი – არაბულად ჰაბბ, მარცვალს, თესლს ნიშნავს), თურქები ეწეოდნენ კიდეც. მუსლიმანები ოპიუმს კანფეტების სახითაც იღებდნენ. კანფეტებს ეწერა „მაშ ალაჰ“ (ღვთის წყალობა). აზიის ქვეყნებში ოპიმს, როგორც აღმგზნებად საშუალებას, ცხენებსაც კი აძლევდნენ, როდესაც მთებში დიდი მანძილი ჰქონდათ გასავლელი. დასავლეთ ჩინეთში თრიაქი ფულის ფუნქციასაც კი ასრულებდა. გაზეთი „ივერია“ 1898 წელს წერდა: „როცა ჩინელი სამგზავროდ მიდის, თან იმდენი თრიაქი მიაქვს, რამდენიც დასჭირდება. ის სტუდენტებიც კი, რომელნიც პეკინში მიდიან, თრიაქს ატარებენ თურმე ფულის მაგიერ“.

მე-19 საუკუნეში ოპიუმი ფეხს იკიდებს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, 1840 წლიდან ოპიუმის წევას იწყებენ ინგლისელები, 1852 წლიდან – ისლანდიელები, შემდეგ – ფრანგები და ა. შ. 1857 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო ჩინელთა დასახლება ამერიკაში, ოპიუმმა იქაც მოიკიდა ფეხი.

ოპიუმის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებად ითვლებოდა ინდოეთი, ირანი, იაპონია და თურქეთი.

ოპიუმი ძლიერ მოქმედებს ადამიანის ტვინზე. იგი იწვევს უცნაურ ზმანებებს და სრულიად ანადგურებს ჯანმრთელობას. ერთი ან ორი წლის შემდეგ ადამიანი ჩონჩხს ემსგავსება, ხშირად ჭკუიდანაც იშლება.

მოწინავე საზოგადოებამ იმთავითვე ომი გამოუცხადა ნარკომანიას. მის შესახებ აღშფოთებით წერდა გაზეთი „ივერია“. „ყველა თრიაქს მიჩვეული ავადმყოფია, გამხდარი და მილეული. ამისთანა კაცი, თუ თრიაქი შემოაკლდა, თავს გაწირავს, ავაზაკობასაც კი ჩაიდენს, ოღონდ თრიაქი ვიშოვო როგორმეო. საშინელია თრიაქით მოწამლული კაცი“ (1892 წ. 19/III).

ოპიუმივით საშინელი და ძველთაძველი ნარკოტიკია ჰაშიში (სინონიმები: პლანი, ანაშა, მარიხუანა). იგი მოქმედებით ახლო დგას ოპიუმთან. ამზადებენ ინდური კანაფისაგან არაბეთში, სპარსეთში, ინდოეთში, აფრიკაში და სხვაგან. მუსლიმანები ამ შხამს მუსიკისა და სიმღერის თანხლებით იღებდნენ.

მე-19 საუკუნიდან ევროპა მოიცვა მორფისადმი მომაკვდინებელმა მიდრეკილებამ. მორფი (ბერძნული მითოლოგიით – ძილის ღმერთის სახელი) ტკივილის გამაყუჩებელი და ძილის მომგვრელი ნარკოტიკული საშუალებაა. ზოგი მკვლევარი (ლევინშტეინი, რევიე) ევროპაში მორფის გავრცელებას გერმანელებს მიაწერდა (იგი პირველად მიუღია სერტიურნერს). 1866-1870 წლების ომის შემდეგ მორფინისტების რიცხვი ძალიან გაიზარდა პრუსიის არმიაში. ჯარისკაცები მორფს იყენებდნენ ენერგიის მოსამატებლად, ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ მორფს ვეღარ ივიწყებდნენ.

თუ მედიცინის დარგში საანესთეზიო ნივთიერების აღმოჩენა მიღწევა იყო, მისი ბოროტად გამოყენება სავალალო გახდა კაცობრიობისათვის. მიუხედავად დევნისა, მორფი ფართოდ გავრცელდა ევროპაში, კერძოდ – პარიზში. მორფისადმი ლტოლვა ისე გაძლიერდა ქალთა შორის, რომ გაზეთმა „ნასიონალმა“ საჭიროდ მიიჩნია გამოექვეყნებინა შემდეგი განცხადება: „ასობით მაგალითით დამტკიცებულია, რომ მორფის ხშირი ხმარება იწვევს თმის, ფრჩხილების და კბილების დაცვენას. მამაკაცმა შეიძლება შეიყვაროს ქალი, რომელიც რამდენადმე ბავშვის მსგავსია, მაგრამ არავის უნახავს, რომ მამაკაცს შეეყვარებინოს ქალი, რომელსაც პატარა ბავშვივით არა ჰქონდეს არც თმა და არც კბილები“.

ამერიკაში მოდაში შემოვიდა ქაფურის სმა. „საოცრად გაიდგა ფეხი ახალმა მანიამ –ქაფურის (კამფორის) სმამ, რომელიც თავის შედეგით მორფსა და ეთერზე უფრო მავნებელია. ამერიკელ ქალებს თურმე იმისათვის დაუწყიათ ქაფურის სმა, რომ ნაზფერს აძლევს პირი-სახეს, მაგრამ ის კი დაივიწყეს, რომ სხეული ეჩვევა ამ ნივთიერებას და შემდეგ უიმისობა ისევე შეუძლებელი ხდება, როგორც ლოთისათვის უსმელობა. გარდა ამისა, სხეული დუნდება, გონება ჩლუნგდება და ითენთება, სახე უგემური ხდება, ასე გეგონებათ, პირზე ნიღაბი აფარიაო, იმდენად მიბნედილი უსიცოცხლო ბეჭედი აზის სახეს“, – წერდა „ივერია“ (1902 წ. 6/IV).

XX საუკუნის ამერიკაში ფართოდ გავრცელდა ნარკოტიკი მარიხუანა და მორფზე ძლიერი შხამი – ჰერონიუმი. ამ ნარკოტიკმა მომაკვდინებელი შედეგები მოუტანა იაპონიას. სუგავარა წიგნში „იაპონია – ნარკოტიკების სამეფო“, წერს , რომ ამ ქვეყანაში ჰ ერონიუმი ყოველწლიურად 200 ათასი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს.

არანაკლებ საშიში აღმოჩნდა ამერიკაში გავრცელებული ნარკოტიკი მესკალინი. პოლონელ ჟურნალისტს ე. სლივკა-შჩერბიცს მოჰყავს მაგალითები, რას იწვევს ამ ნარკოტიკის გამოყენება: „ერთი, რომელსაც ეგონა ფრთები გამოესხა, გადმოხტა მეათე სართულის ფანჯრიდან, მეორე ჩაუვარდა მანქანას, რადგან მოეჩვენა, რომ მანქანაზე ძლიერი იყო, მესამე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა“.

უხსოვარი დროიდანვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველ მცენარეებს იყენებდნენ, როგორც სამედიცინო საშუალებას. ჰომეროსის დროს ყაყაჩოს სამკურნალო მცენარედ იყენებდნენ. ძველ სპარსეთში ამზადებდნენ ასეთ სამკურნალო სასმელს, რომელსაც კოკებარა ეწოდებოდა. ამზადებდნენ ასევე ფხვნილის სახით და საბერველით შეჰ ყავდათ ცხვირის ღრუში. ქირურგიის ფუძემდებელი ჩინეთში ექიმი ხუა ტო (141-208 წწ.) ოპერაციის დროს იყენებდა საანესთეზიო ნარკოტიკებს (ბანგი, მანდრაგორა, ჰაშიში და სხვ). მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ: „თუ ადამიანს სტკივა შიგნეულობა და არავითარი წამალი არ შველის, იგი ასმევს კანაფის ნახარშს, რისგანაც ავადმყოფი იძინებს მკვდრის ძილით“ და შემდეგ კი აკეთებს ოპერაციასო.

მანდრაგორა, რომელიც ღრმა ძილს იწვევდა, ცნობილი იყო ძველ რომშიც. ეს ნარკოტიკი მოხსენიებული აქვს აპულეუსს, მისი ძირებისაგან მზადდებოდა წვენი, რომელიც ღვინოსთან ერთად იხმარებოდა როგორც ძილის მომგვრელი და ტკივილების გამაყუჩებელი საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გარს ერტყა „თრიაქის მჭამელი“ ქვეყნები, ამ საშინელმა სენმა ისტორიულად აქ ვერ ჰპოვა გავრცელება. ძველად საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებებს მხოლოდ სამკურნალო საშუალებად იყენებდნენ. ჩვენში ცნობილი იყო ნარკოტიკული მცენარეები (ლენცოფა, კანაფი, ყაყაჩო და სხვ.), თესდნენ კიდეც (მაგალითად, კანაფს) და მათგან წამლებსაც ამზადებდნენ, მაგრამ „თუ კანაფსა თესდნენ, ზეთის გამოსახდელათა სთესდნენ, ხან კიდევ ბანგის მსგავს წამალს აკეთებდნენ. ჩვენში მარტო თოკსა და ძაფს აკეთებდნენ“ („სასოფლო გაზეთი“, 1874. №12).

საქართველოში ნარკოტიკს ბოროტად არ იყენებდნენ. მართალია, არის ერთი ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სიმონ მეფე „სჭამდა თრიაქსო“, მაგრამ იქვე განმარტებულია, რომ მეფეს თრიაქის ჭამა სპარსელებთან ტყვეობაში ყოფნის დროს უსწავლია.

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში უცხოელმა მონოპოლისტებმა სცადეს ჩვენში ხელში ჩაეგდოთ ნაკვეთები და ფართოდ გაეშალათ ოპიუმის წარმოება. 1875 წელს „სასოფლო გაზეთი“ წერდა: „სურამთან ვეზირიშვილების მამული ვიღაცა უცხოელ კაცებს აუღიათ ბანგის დასათესადა და მოსაყვანად. ყველა განათლებულ ქვეყნებში ბანგი საწამლავათ მიაჩნიათ და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენში შემოვიდეს. ადამიანი უდროო დროთ საფლავში ჩაჰყავს. ბანგს თამბაქოსავითა სწევენ. კაცს ათრობს და ისე ხდის, როგორც კაი დამთვრალი კაცი. ბანგ ნაჩვევი კაცი უდროოდ სუსტდება, ღონე ერთმევა და არაფრის საქმის გაკეთება აღარ შეუძლია და ვეღარც გადაეჩვევა“ (№12).

საბედნიეროდ, გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ეს ბოროტი ცდა არ განხორციელდა.

ასე მოვედით XXI საუკუნემდე. დღეს კი...

**სულიკო ნუცუბიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოლემიკა

# ფანტასმაგორია? — კი ბატონო, მაგრამ ვისი და როგორი?..

(მეთერთმეტე გვერდიდან)

**ამიტომ ვეძიებთ სწორ ორიენტირებს არა კოსმოპოლიტურ არეალებში, არამედ ჩვენს ისტორიასა და ჩვენს ერისკაცებში, პირველ რიგში კი, ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის — ჩვენი ყველაზე დიდი ერისკაცების მემკვიდრეობაში. ბატონო ნოდარ, კარგია თქვენი ჯინ კირპატრიკი, დიდებულია უინსტონ ჩერჩილიც, მაგრამ ქართული სახელმწიფოსთვის ჩვენთვის ფასეული უფრო ჩვენი ეს დიდი ერისკაცები არიან... აი, რა უნდა გახდეს ქართველი პოლიტოლოგების ყველაზე სისხლხორცეული საქმე დღეს!..**

გასაკვირია ბატონ ნოდარის საოცარი გულმავიწყობა, თუ დაბნეულობა — თურმე ჩვენს მიერ მითითებულ ილიას „ცხოვრება და კანონში“, „საპოლიტიკო მიმოხილვაში“ და კიდევ ბევრგან სხვაგან, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და ძიებისა, ვერაფერი უპოვია ამ მიმართებით. ეკითხა ჩვენთვის და პრობლემაც უცბად მოიხსნებოდა. აი, მაგალითად, რას ამბობს ილია **ძიებულ და ვერ მოძიებულ სტატიათა ციკლში — „ცხოვრება და კანონი“:**

**„ქვეყნიერებაზედ მართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს... ერთგვარი მართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც — ყველგან და ყოველს საქმეში ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარს მართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან...**

**მეორეგვარი მართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო სახელმწიფო საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას დაუსაკუთრებია, მერე ისე, რომ ყოველს ნაწილს** (საზოგადოებისას — ო. გ., ე. ბ.), **თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი... ამგვარი მართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას, ხალხს აფხიზლებს, ჭკუასა და გონებას უხსნის... საზოგადო საქმისათვის სწრთვნის და ავარჯიშებს, იქ, სადაც მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია“** (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 323-324).

ეს ხომ ნამდვილი ჰიმნია „ქართული წეს-წყობის“ სასოფლო-სათემო თვითმართველობის, **„იაფი მთავრობის“ და „სწრაფი სამართლის“** მისი ძველი ტრადიციებისა! აქ ხომ დეტალურადაა გადმოცემული **„საფუძველნი თვითმართველობისა“** (მეოთხე და მეხუთე წერილები, გვ. 323-354), **ჩამოთვლილია 9 პუნქტად მისი ძირეული პრინციპები** (გვ. 330-331) დასკვნით, რომ — **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“.**

ახლა რედაქცია თუ დაგვთანხმდება, ჩვენც ჩვენი ოპონენტის მსგავსად, ცოტა უფრო გრძელ ციტატას შემოგთავაზებთ იგივე სტატიიდან ჩვენს მიერ დასმული პრობლემის დაკონკრეტებისათვის:

**„ჩვენ წინა წერილში ვაჩვენეთ რამდენადაც შევძელით და შეგვაძლებინეს** (ცენზორებმა — ო. გ., ე. ბ.)**... ქება თვითმართველობისა. მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს, რაც მეოთხე წერილში მოგვიხსენებია შეძლებისამებრ ფრთხილად და ენის კვნეტით... აქ ჩვენი აზრი ის არის, რომ სოფელი და სოფლის საზოგადოება რუსეთში სულ სხვა ნიადაგზე დგას. იქ გლეხობა მიწას კომლეულობით, მემკვიდრეობით არ ფლობს... ჩვენში მიწის მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამოა ყველა წოდებისთვის... ყოველს შინაურ სოფლის საქმის კეთილად დაწყობა და სამართლის წარმოება — ეს იმისთანა საგნები არიან თვითმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფლის ყველა მცხოვრებთ...**

**...ჩვენს ძველს ცხოვრებაში დასდასად დაყოფა ერისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგებლობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეზაგრა მეორე... ამის გამო, იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლებათა დასაპყრობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არ ჰქონია.**

**...ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოარებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ... თუკი ასეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენთაგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? ამიტომაც დიდად სცოდავენ ქვეყანასა და ხალხსაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყოს წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონეს ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?**

**მაშ, საცა ეგ არ არის, რად გვინდა, რომ იყოს? რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან, რა სასარგებლოა? მაგრამ რა, ტვინთხელობა, რომელიც საკუთარს ტვინს მოკლებული, სხვისით ჰსცხოვრობს და მარტო სხვისის ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაშიც წინასწარ ვიცით — კედელი იქნება და რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს“** (ტ. IV, გვ. 332-334, 342-343).

აი, ბატონო ნოდარ, „ცხოვრება და კანონის“, მასთან ერთად კი, „საერთო ნიადაგის“ თეორიის მთავარი აზრი და არსი, რაც ილიას „ძველი საქართველოს“ ისტორიიდან და ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობიდან გამოჰყავს. ამიტომ უწოდებდნენ მას მესამედასელი კოსმოპოლიტები, რომლებიც მისგან განსხვავებით, ჩვენს ისტორიაში ვერაფერს ხედავდნენ, გარდა **„გმობისა და უარყოფისა“** (ნოე ჟორდანია), — **„ნაციონალისტს და თავადაზნაურული რეაქციის ბურჯს“**. ეს დასკვნა ათასნაირი არგუმენტებით აქვს გამაგრებული“ მესამედასელთა ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს პეტრე გელეიშვილს.

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი კი ის გახლავთ, რომ ილია საქართველოსთვის მოითხოვდა **„სამეფო გვირგვინსა და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებულ სახელმწიფოს“**. (პ. გელეიშვილი — „ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, 1914 წ., გვ. 92). აქედან იღებს საფუძველს ილიას ერთ-ერთი ზოგად-სოციოლოგიური მოთხოვნაც ახალი საქართველოს **„ძველიდგან აღმოშობის“**, საერთოდ კი, ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების და ამ გზით **„ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენის“** შესახებ, რასაც გელეიშვილიც, ბატონ ნოდარივით, გასარჯების ხასიათზე დაუყენებია...

ეს ყველაფერი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ანბანური ჭეშმარიტებაა და ჩვენი ბრალი არაა, თუკი იძულებული ვართ ბატონ ნოდარს შევახსენოთ ეს. იძულებული ვართ ბატონ ნოდარს შევახსენოთ ის ელემენტარული ჭეშმარიტებაც, რომ კონსტიტუციური მონარქიის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ, არც „ნეპალური“ და არც „არაბულია“: ესეც ხომ ელემენტარულია — სადაც კონსტიტუცია არ მართავს ქვეყანას, იქ არც წარმომადგენლობითი მართველობაა და არც კანონის უზენაესი ძალა. ამიტომ ისინი არც ჩაითვლებიან კონსტიტუციური მონარქიის ტიპის სახელმწიფოებად და აქაც ჩვენი ოპონენტის ვრცელი დიდაქტიკური მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა.

**„ამასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ისინი გაგვანდობდნენ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ — მაინც ვის უპირებენ საქართველოს მომავალ მეფედ, რამეთუ საქართველოს გარეთ მცხოვრები არც ერთი წარმომადგენელი ბაგრატიონთა ტრადიციული დინასტიიდან არათუ მეფედ, უბრალო მინისტრადაც არ უქნია მამაზეციერს“.** — წერს ბატონი ნოდარი.

აი, თურმე როგორ წარმოუდგენია კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო საქართველოში ჩვენს ოპონენტს. ბატონ ნოდარის თქმით **„დიდი მურიას თავიც“** სწორედ რომ აქ არის დამარხული: გელეიშვილივით მასაც კონსტიტუციური მონაქია **„მეფობის აღდგენა“** ჰგონია! არც მეტი, არც ნაკლები — „ბაგრატიონების (რომელთაც თურმე „მინისტრობაც“ არ შეუძლიათ) სამეფო ტახტზე „წამოსკუპება“!...

ვინ მოგახსენათ, ბატონო ნოდარ, რომ ბაგრატიონებმა უნდა მართონ საქართველო?! ეს ხომ, აბსურდია!

„ფანტასმაგორია“ ამაზე უარესი თუ გაგიგონიათ... ამიტომ აღარც კი გვიკვირს **„მეფედ დაჯდომის“** პრიმიტივი, თუ ოპონენტის რიტორიკული წიაღსვლები ვთქვათ, იმის შესახებ, თუ **„ვინ მიიწვევს ტახტზე მეფეს“**, ანდა, სრულიად გაუგებარი და უადგილო ციტატა პრეზიდენტის რადიოინტერვიუდან...

**ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო სრულებითაც არ ნიშნავს „მეფის მმართველობას“ და მით უმეტეს, პრეზიდენტის მიერ ნათქვამ — „ადამიანის ინტერესებისა და პიროვნების მისწრაფებების“ რაიმე ხელყოფას?! ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა!**

ჩვენთვის გაუგებარია ავტორის პოზიცია, თუ ამას საერთოდ, პოზიცია ჰქვია: ყველას აქვს უფლება იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური იდეის მომხრე ან მოწინააღმდეგე, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხომ გარკვეული **დასაბუთებაა** აუცილებელი. სამაგიერო **ალტერნატივის** შემოთავაზება — საით წავიდეთ, რა გზას დავადგეთ... ცარიელი **„არას“** ძახილი პოზიცია არაა. იგი სწორედ ის არის, რასაც ავტორი ბერძნული სიტყვა — **„ფანტასმაგორიით“** გამოხატავს.

**ჩვენ კი ქართულად ცოტა სხვანაირად ვიტყვით: ეს ის ერთგვარი „ავადმყოფური ამოჩემება“ და „ინტელექტუალური ნარცისობაა“, რომელიც ნამდვილ უბედურებად მოევლინება ხოლმე კაცს. ამის პოლიტიკური ანატომია შესანიშნავად აქვს გახსნილი ილიას სტატიაში „უარმყოფელობა ჩვენში“ (ბატონ ნოდარს, „ცხოვრება და კანონისა“ არ იყოს, ამ სტატიის წაკითხვაც მოუწევს), სადაც ამგვარი სენის მატარებელ მაშინდელ „რუსეთუმეებს“ მისებური სარკაზმით ამათრახებს და ესეც, როგორც ჩანს, ქართული კოსმოპოლიტიზმის ის სენია, რომელიც თაობიდან თაობაში გადმოდის და ნებსით თუ უნებლიეთ, უარყოფს მთავარს — ეროვნულ ისტორიას და მემკვიდრეობას.**

„რუსეთუმეობის“ მთავარი არსიც ეს არის მაშინაც და დღესაც. და რაკი ბატონი ნოდარი თავისი „ანტიმონარქიული“ ლაშქრობის დასაწყისშივე ამ თემაზეც პაექრობაში გვიწვევს, ჩვენც იძულებული ვართ ჩავებათ მასში. აქ იგი ხომ ისეთი შეუბრალებელია, რომ თვით ივანე ჯავახიშვილსაც კი არ ინდობს. ავტორის ყველაზე დიდ მკრეხელობად და „ფანტასმაგორიად“ მაინც ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ იგი ილიას რუსოფილად მიიჩნევს!?

რატომ, ახლა არ იტყვით? იმიტომ, რომ ილია თურმე, პატარა კახს აქებდა, ჯავახიშვილივით გეორგიევსკის ტრაქტს და რუსეთს არ აკრიტიკებდა და რუსეთის ვერაგობაზეც არაფერი დაუწერია, სტალინის „უმცირესი ბოროტების“ თეორიას ემხრობოდა და ამიტომ ჯავახიშვილივით ერთი დოკუმენტიც კი არ გამოუქვეყნებია იმაზე, თუ როგორ უნამუსოდ გვაბრიყვებდა და გვატყუებდა რუსეთის ხელისუფლება მუდამ, რათა ჩვენი ქვეყანა გაძლიერების ნაცვლად, კიდევ უფრო დაესუსტებინა და ძირს დაეცა.

**ბატონო ნოდარ, თქვენ რა, დროის შეგრძნება დაკარგეთ? ჩვენ იმ პატარა წერილში ხომ, მკითხველს თავიდანვე ვაფრთხილებთ — „დრონი მეფობენო“: გეორგიევსკის ტრაქტატსა და რუსეთის ანტიქართულ დამპყრობლურ პოლიტიკას ყველა თაობა სხვადასხვა ეპოქაში სულ სხვადასხვა შეფასებას აძლევდა. ესეც სავსებით ბუნებრივი და ელემენტარულია: ამიტომ უნდა ხოლმე ყოველთვის „ჯერ დროების ქერქში ჩაჯდომა და მერე კი დროების შვილთა განკითხვა“. ეს განსაკუთრებით ისტორიკოს-მკვლევართ და პოლიტოლოგებს ეხებათ:**

ილია ვერ იტყოდა იმას, რაც **„რუსოფობმა“ ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს თქვა — დრო-ჟამი იყო მაშინ სხვა — სხვა მსოფლიო, სხვა ევროპა, სხვა რუსეთი, სხვა საქართველო. ისე კი დარწმუნებული ვართ, ილიაც სიამოვნებით მოაწერდა ხელს 1919 წელს დიდი ივანეს ამ „ანტირუსულ პასკვილს“ და შეიძლება ცოტა მეტსაც...**

ისე, რომ ბატონო ნოდარ, ნუ აიჩემებთ, რომ ილია, გვინდა თუ არა, რუსოფილი იყოო — ეს კი უკვე, უკაცრავად კი ვართ, მაგრამ თვით **„ლუარსაბის ლოგიკაშიც“** არ ჯდება: ეს, რომ ასე იყოს, მაშინ არც **„ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას“** იტყოდა.

ამ ერთხელ მაინც დაგვიჯერეთ: **ილია არავისი „ფილი“ არ ყოფილა — იგი მხოლოდ „ქართველოფილი“ იყო და მეტი არაფერი. თუ მაინცდამაინც „ფილობაზე“ მიდგა საქმე, იგი უპირველეს ყოვლისა, ანგლოფილია. ამისათვის ბატონო ნოდარ, კიდევ ერთხელ მოგიწევთ ილიას ტომების გადაკითხვა, თუნდაც თქვენგან უკვე ძიებული „საპოლიტიკო მიმოხილვისა“.**

ილია, რომ იტყვიან, მოხიბლული და მოჯადოებული იყო ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებით და იდეოლოგიით სწორედ იმიტომ, რომ იგი მისთვის (ისევე როგორც ჩვენთვისაც), თქვენგან გაშარჟებული **კონსტიტუციური მონარქიის** და **ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კლასიკური მაგალითია.** ინგლისს ამ მხრივ, მსოფლიოში მარტო იაპონია თუ შეედრება, სადაც **„ძველი გზის არ დაგდება“** და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებისადმი ერთგულება ეროვნულ კულტად არის გადაქცეული. სწორედ ამ ერთგულების გამო არის შემორჩენილი იმპერატორობის ინსტიტუტიც, როგორც სახელმწიფოს ფორმალური მეთაურისა. ეგაა და ეგ, ბატონო ნოდარ, თქვენთვის გაუგებარი კონსტიტუციური მონარქიის მთავარი არსი და ჩვენგან შემოთავაზებული პოლიტიკური იდეოლოგიის ანბანიც...

**და აი, მივადექით ჩვენი ოპონენტის მთავრ საოცრებას და „დიდი მურიის თავს“, რომელიც მას, როგორც ჩანს, ბოლოსთვის შემოუნახავს:.**

**„მთავარი საოცრება.... მაინც ისაა, რომ პატივცემული ავტორები გვიმტკიცებენ: „პირველი და უმთავრესი ამ არგუმენტებიდან ის არის, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა** (კონსტიტუციური მონარქია — ო. გ., ე. ბ.), **ქართული სახელმწიფოს განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა“. გამოდის, რომ მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში ოდესღაც ყოფილა კონსტიტუციური მონარქია. ჰოი, საოცრებავ...“**

ბატონო ნოდარ! რამ მოგაფიქრათ, **რამ,** ან, **ვინ** შეგაცდინათ, რომ ჩვენ ამ კანონით „მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიაში ოდესღაც კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოს არსებობას“ ვამტკიცებთ?! ნუთუ ისეთი ტუტუცები გგონივართ თქვენი ყოფილი „შესანიშნავი სტუდენტები“, რომ თვით ილიას რუსი ოფიცრისთვისაც კი ასეთ გაუგონარ სისულელეს წამოვროშავდით?...

მაგრამ რაკი ასეთი გაუგებრობა მაინც მოხდა ყოფილ მასწავლებელსა და ყოფილ სტუდენტებს შორის, მოდით ისევ ილიას გმირივით „მდაბიურად“ ვთქვათ, თუ რას ნიშნავს და რას ვგულისხმობდით **„ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კანონით“,** რომელიც ამასთან ილიას მსოფლმხედველობის, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ამოსავალი პრინციპია. **„ჰოი, საოცრების“** ნამდვილი ადრესატიც მაშინ გაირკვევა და **„დიდი მურიას თავიც“...**

დღემდე ჩვენ ისე ვიცოდით, რომ ეს კანონი, რომელიც **მემკვიდრეობითობის უნივერსალური კანონის ტოლფასია,** იმას გვეუბნება და გვასწავლის, რომ შემოქმედება ყველას და ყველაფერს, მათ შორის თითოეულ ერს ამქვეყნად არსებობისა და ზრდა-განვითარების თავისი გზა-კვალი მისცა, ცხოვრების თავისი წესი, თავისი „კალაპოტი“, როგორც ვთქვათ, ზღვებს და მდინარეებს, თავისი „ორბიტა“ — როგორც მზეს და პლანეტებს. ამიტომაა ეს კანონიც უნივერსალური და ამიტომაა მისი დარღვევაც დიდი ტრაგედიების მიზეზი ყველგან და ყველაფერში...

ის ხალხი და ქვეყანა იარსებებს მომავალშიც, ის განვითარდება ნორმალურად და სტაბილურად, ვინც „არ დააგდებს ძველ გზას“, ცხოვრების თავის წესს, თავის ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას. „მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში“ კი, ბატონო ნოდარ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს არაერთგზის მოხდა და დღესაც ხდება. „ძნელბედობა“, მათ შორის თქვენგან ასე ხოტბაშესხმულმა რუსული კოლონიური უღლის **„უმცირესმა ბოროტებამ“** ერთიანად გააუკუღმართა ქართული სახელმწიფოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარება, **„ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ და რომ იცოდეთ — „მრავალტანჯულიც“, პირველ რიგში, ამიტომაც გახდა...**

ამოცანაც ის არის, რომ ჩვენ ყველამ ერთად შევძლოთ „წარხდენილი ქართული წეს-წყობის“ აღდგენა. ისევ „მდაბიურად“ რომ ვთქვათ, საკითხი ძალიან მარტივად დგას: თავისი ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით „ოქროვანი ხანის საქართველო“ ერთპიროვნული აბსოლუტური მონარქიიდან მომავალი საუკუნეებისთვის აშკარად მიემართებოდა (**„სააჯო კარი“, „დარბაზი“, „ერთა საბჭო“, „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი“, „ისნის კარავი“**), ხალხის წარმომადგენლობითი მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებისაკენ, თუკი ქვეყანა არ დაკარგავდა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების თავის გზას, თავის კალაპოტს.

ასე აქვს გააზრებული საქართველოს ისტორიის ფილოსოფია ილიასაც. „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ ამბობს **„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ, რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით, ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც, გზად და ხიდად გავედებით!...**

ესეც ზუსტი ასლია საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ილიასეული გააზრებისა: „რანი ვიყავით — რანი ვართ — რად შეიძლება ვიქმნეთ“. ამას ეფუძნებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის და კონსტიტუციური მონარქიის ჩვენეული გააზრება-დაკავშირება და მეტს არაფერს...

ბატონო ნოდარ, სად ხედავთ აქ **„საოცრებას“**, საიდან რა ლოგიკიდან **„გამოდის“**, რომ ჩვენ **„მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში კონსტიტუციური მონარქიის არსებობას“ ვამტკიცებთ?!** ღმერთი, რჯული, ასეთი სისულელე არც გვიფიქრია და ვერც ვერასოდეს მოვიფიქრებდით, თქვენს „ფანტასმაგორიაში“ რომ არ ამოგვეკითხა!

**ომარ გოგიაშვილი,**
**ელგუჯა ბატიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უცხოური პრესა

# ისლამური რესპუბლიკის ცხოვრება

**დღევანდელი ირანი ძალზე მოგვაგონებს ამ ცოტახნისწინანდელ რუსეთს. ისლამური რესპუბლიკის მიღწევები კი ძალზე წააგავს საბჭოეთის ქვეყნის უძრაობის პერიოდის მიღწევებს, რომლის მიმართაც ნოსტალგია ჩვენში ჯერ კიდევ არ გამქრალა.**



ირანული ფილმები პრიზებს სწორედ იმ ფესტივალებზე იღებენ, რომლებზეც თავის დროზე დააჯილდოვეს მოსკოვი, ცრემლებისა რომ არ სჯერა. ჩამორთმეული ნარკოტიკების საჯარო დაწვაც მოგვაგონებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნისდროინდელ ანალოგიურ საჩვენებელ აქციებს.



პრეზიდენტ ჰათამის თავისუფალი საუბარი პრესის წარმომადგენლებთან კი მეხსიერებაში ამოატივტივებს გორბაჩოვის პირველ პრესკონფერენციებს. იქნებ, სწორედ ამიტომაც ირანელები ჩინებულად იგებენ საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას (ამ ცოტა ხნის წინათ იქ წარმატებით გაიმართა ფარაჯანოვის მუზეუმის გამოფენა). სათქმელის ბოლომდე უთქმელობა, რაღაც ოდნავ დაფარული, რაც ასე ხშირად იწვევს ჩვენი ახალგაზრდობისა თუ დასავლელი მაყურებლის გაღიზიანებას, იქ კვლავ რჩება ეპოქის სტილად.



მაგრამ ყველაზე მთავარია ჩვენთვის კარგად ცნობილი განსხვავება პირად ცხოვრებას (ნამდვილ ცხოვრებას) და ოფიციალურ ცხოვრებას შორის თავისი ოფიციალური სიმბოლოებითა და ქცევის მკაცრი კოდექსით. აი, ქოზარის ქალთა სკოლის მოსწავლეები — უკლებლივ ყველა შავ უნიფორმაში გამოწყობილი — აღავლენენ ტრადიციულ ლოცვას. იქვე კი არიან მათი თანატოლი გოგონები (იქნებ, თვით ისინიც კი), რომლებიც მთებში გაქცევიან აბეზარ მასწავლებლებს და იქ ცეკვავენ ბრეიქ-დანსს.



1989 წელს ამერიკელმა და რუსმა ფოტოგრაფებმა განახორციელეს პროექტი „საბჭოთა კავშირის ცხოვრების ერთი დღე". ნებსით თუ უნებლიეთ, მრავალი ფოტოგრაფი სწორედ ამ თემას ირჩევდა — ადამიანები ძეგლების ფონზე. ჰოდა, ირანშიც ცხოვრება ჩქეფს აიათოლა ჰომეინის ისლამური რევოლუციის ბელადთა პორტრეტების, 1980-88 წლების ირან-ერაყის ომში დაღუპულთა სადიდებელი ბარელიეფებისა და წარწერების „ძირს აშშ!" ფონზე. მაგრამ ეს მაინც აღარ არის ის ცხოვრება, რომელიც იყო ქვეყანაში ჰომეინის მმართველობის პერიოდში, 1988 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ რომ დასრულდა. ხშირად ყველაფრის გამარტივებას დახარბებული ჟურნალისტები დღევანდელ ირანელებს წარმოგვიდგენენ როგორც ლატაკ ფანატიკოსებს, მაგრამ ეს უბრალო გამარტივება კი არა, სიბეცეა.

დღევანდელი ირანი ის ქვეყანაა, რომელმაც განვითარების დონის მიხედვით გაუსწრო თავის მრავალ მეზობელს — ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ახალგაზრდობა, რომელსაც არ უნახავს ცხოვრება ისლამურ რევოლუციამდე, უკვე კარგა ხანია შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს. რას მოისურვებს ეს ახალგაზრდობა, რა გზით წაიყვანს იგი ქვეყნის განვითარებას?

ზოგიერთი მათგანი, ალბათ, აირჩევს ოფიციალური კარიერის გზას. აი, ჩვენს წინაშეა რევოლუციური გვარდიის სკოლა — ყოფილი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობა. იქ სწავლობენ მომავალი ახალგაზრდა „რევოლუციის გუშაგები", და ალბათ ამიტომაც, გამვლელებიც იქ შესაბამისად იქცევიან, იფუთნებიან ტრადიციულ ტანსაცმელში. აქ კი, ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთს ეხვევა დექეხის მთის ფონზე, ბუნების წიაღში, „გუშაგების" თვალისაგან მოშორებით. გამოცდილება გვიჩვენებს: მომავალი, ალბათ, უფრო შეყვარებულებს ეკუთვნის, ვიდრე გუშაგებს.



**დიმიტრი ბაბიჩი.**

ჟურნალი „ოგონიოკი", №39.

**სურათებზე: პრეზიდენტი ჰათამი რაღაცით მოგვაგონებს გორბაჩოვს; მაღაზია ირანელი ქალებისათვის: აქ პარიკიც მოდაშია; ნარკოტიკების საჯარო დაწვა: ირანის ყოფის ჩვეული დეტალი; თანამედროვე კომპიუტერული კლასი — ახალგაზრდა იუზდერი ტრადიციულ ხიჯაბაში. საზოგადოებაში მწიფდება ახალგაზრდა თაობა, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციისაკენ ილტვის. მაშასადამე, „მამებისა და შვილების" კონფლიქტი გარდუვალია: შეყვარებულებს უკვე აღარ ეშინიათ ერთად ყოფნის, თუმცა ცდილობენ განერიდონ „რევოლუციის გუშაგებს".**


bp

# კონტრაქტორების მოწვევა წინასწარი კვალიფიკაციისთვის

კომპანია "BP Caspian" იწვევს კონტრაქტორებს ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისათვის – საქართველოში ნარჩენების განთავსება/მართვის მომსახურების კონტრაქტის გასაფორმებლად. სამუშაო მიზნად ისახავს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, სამხრეთ კავკასიის მილსადენების პროექტებისა და ბაქო-სუფსის მილსადენის პროექტის ფარგლებში ამჟამად მიმდინარე სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობის ხელშეწყობას.

**ნარჩენების განთავსება/მართვის მომსახურების გაწევა**

**სამუშაოს მოცულობა**

სამუშაო გულისხმობს ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას ნარჩენების განთავსება/მართვის გრძელვადიანი მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში, რომლის ხანგრძლივობა 25 წლამდე ვადით განისაზღვრება. სამუშაოთა მოცულობა სამი ფაზისაგან შედგება:

**ტერიტორიის შესყიდვის ფაზა**

შესყიდვის ფაზაზე მოხდება საკუთრების ან იჯარის უფლების მოპოვება მიწის ნაკვეთზე საგარეჯოში, სადაც მომავალი ნაგებობა უნდა განთავსდეს. BP აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მოგვიანებით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გადასცემს.

**განვითარების ფაზა**

განვითარების ფაზა გულისხმობს ზემოხსენებული ობიექტის მშენებლობას საგარეჯოში. სამუშაოს დეტალური საპროექტო ნახაზები და ტექნიკური სპეციფიკაციები მომზადებულია ევროკავშირის (EU) სტანდარტების საფუძველზე და ხელმისაწვდომია კონტრაქტორებისთვის გასაცნობად. სამუშაო მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებით:

- ინფრასტრუქტურა
  - შემოღობილი ტერიტორია
  - მოხრეშილი გზების მშენებლობა შემოღობილი ტერიტორიის შიგნით
  - ოფისების და პერსონალის შენობების მშენებლობა
  - ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია

- ნარჩენთა განთავსების სექცია
  - ნარჩენთა განთავსების სექციის ამოთხრა და მოწყობა
  - გრუნტის დაყრა და დატკეპნა მიწაყრილის კონტურის მოსაწყობად
  - დატკეპნილი თიხის მოპირკეთების მშენებლობა
  - გეომემბრანის მოწოდება და მისი დაგება
  - მოპირკეთების დამცავი საშუალების და ჩამდინარე წყლების შეგროვების სისტემის მოწოდება და დამონტაჟება

- დაცული სასაწყობე მეურნეობა
  - საწყობის შენობა ჩამოსხმულ ბეტონის ფილებზე, თანმხლები სადრენაჟო სისტემით
  - კონტეინერების და ავტოტრანსპორტის სამრეცხაო
  - ნავთობიანი წყლის სეპარატორი შლამის საჭერით
  - ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარები

- ობიექტთან მისასვლელის კეთილმოწყობა
  - მისასვლელი გზის შეკეთება
  - რკინაბეტონის ხიდის რეაბილიტაცია (კონტრაქტორის მიერ დაპროექტებული კომპონენტი).

**ექსპლუატაციის ფაზა**

ექსპლუატაციის ფაზა დაიწყება განვითარების ფაზის წარმატებით დასრულებისთანავე, და გულისხმობს ობიექტის ექსპლუატაციას ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, ISO 14001 სერტიფიკატის მოპოვებას ობიექტის ამუშავებიდან 12 თვის განმავლობაში და ამ სერტიფიკატის შენარჩუნებას კონტრაქტის სრული ვადის განმავლობაში.

**ხარისხის კონტროლი**

პროექტის განვითარების ფაზა დაექვემდებარება მშენებლობის ხარისხის კონტროლს მესამე მხარის მიერ.

**მოთხოვნები**

მოწვევა სამუშაოს მთლიანი მოცულობის შესრულების წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად შეეხებათ საქართველოში რეგისტრირებულ გარემოსდაცვით/ნარჩენების მართვის პროფილის მქონე კონტრაქტორებს ან ერთობლივ საწარმოებს, რომლის ერთ-ერთი პარტნიორი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, ინდუსტრიასთან დაკავშირებულ მოცემულ სფეროში საქმიანობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილებით.

წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეული არიან განვითარების ფაზის ქვეკონტრაქტორები, რომელიც შეიძლება იყოს მშენებელი კონტრაქტორი, რომელსაც ბოლო პერიოდში შესრულებული აქვს მიწის, საინჟინრო-სამშენებლო, ან გარემოსდაცვითი-საინჟინრო სამუშაოები და რომელსაც შეეძლება წარმოადგინოს 500000 აშშ დოლარის და მეტი ღირებულების კონტრაქტების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ მხარეებს წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტების პაკეტის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სამუშაო საათებში, ოთხშაბათიდან, 19 ნოემბრის დილის 9 საათიდან, პარასკევამდე, 21 ნოემბრის 18 საათამდე. დოკუმენტების მიღება შეიძლება დაცვის სამსახურის მაგიდასთან შენობის მისაღებში.

**მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. № 38, კომპანია BP-ს პროექტის ოფისი.**


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ორშაბათი
### 3 ნოემბერი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "**მე თქვენ მიყვარხართ**" **12.00, 15.00, 16.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**კორდიეების ოჯახი**" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **15.15** მხ. ფილმი "**ხრელ მეამბოხეში**" **16.30** დოკ. სერიალი "გაცოცხლებული ქვები" **17.00, 19.00, 20.00** მოამბე **17.15** რამპა **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "**კორდიეების ოჯახი**" **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.30** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "იმღერე რამე" **23.00** რა ხდება **02.00** მხ. ფილმი "**ვაჟიშვილის ოთახი**"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "**ჯეინ ეარი**" **21.00** ვესტე **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი "**ჭერი და გოში**"

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "პაწაწინა ონიკები" **09.40** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.30** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი "**მაშველები**" **19.10** დოკ. ფილმი "ჯაზი" **19.50** სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" **22.00** სერიალი "**ჯაშუში**" **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "**ღამის თამაში**". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი, ტომ ჯენიგზი.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "**ეველინა მხარე**" **10.20** მხ.ფ. "**წარიკითხვა ბანებაში**" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** სერიალი "**საპაერო პოლიცია**" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ."**მაჩვენე სიყვარული**"

**07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **08.10** ქართული სერიალი "**ჩვამა და ლედი**" მე-8 ს. **09.30** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **10.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი "**გამოძიების საიდუმლოებანი**" **13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **13.30** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **14.05** სერიალი "**იმპერია ნობლ ჰაუზი**" მე-3 ს. **15.15** მხ. ფილმი "**გოგების საიდუმლოება**" **17.25** X -კლუბი **18.05** სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" **19.00, 21.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **19.35** მხ. ფილმი "**ქალბატონ დეიზის მძღოლი**" **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.15** მხ. ფილმი "**ფერმა მესტ საიდუმლო**" **01.05** "გოლი" – სერია "**ა**"

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "**მარია ემილია**" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "**მარია ემილია**" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "**ცეცხლი ინგის გილვაში**" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "**ეშმაკის ადვოკატი**"

**12.00** ინდური მხ. ფილმი "**ხანა სიყვარულშია**" **15.00** მხ. ფილმი "**უძირო**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "**ბანდიტი**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**გზაჯვარედინი**" **22.30** მხ. ფილმი "**შერბურული ქოლგები**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00, 23.00** სერიალი "**ყავახანა**" **14.15** დოკ. ფილმი **14.30** მუსიკალური კოლაჟი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **21.00** სერიალი "**მაჰარაჯას ქალიშვილი**" **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.30** პირველი ნაბიჯები **23.15** ინდური მხ. ფილმი "**ეს გიჟური სიყვარული**"

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "**იქ, სადაც გულია**" მთ.რ-ში: ნატალი პორტმანი, ეშლი ჯადი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "**მშვიდობით საყვარელო**" მთ.რ-ში პატრისია არკეტი, დერმოტ მალრუნი. **01.40** "ღამურა" "**მონანიების დღე**". მთ.რ-ში ედვარდ ბერნსი, ელაიჯა ვუდი. **03.00** პაუზის გარეშე

